დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 80 პარასკევი, 3 აპრილი 1909 წ. № 80

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორ[illegible] ხავს. ინახება ერთის თვით მხ[illegible] წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება [illegible] დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 [illegible] დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

THE ROYAL VIO

TRADE MARK

ნიკიტინის ცირკის შენობაში

ყოველ დღე წარმოდგენები

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

პარასკევს, 3 აპრილს, და შემდეგ დღეებში

მეორე სერია

სულ ახალი პროგრამა

25 ნომერი 25 — 25 ნომერი 25

კვირაობით და უქმეობით დასაწყისი 12 საათზე.

დიდი საოჯახო წარმოდგენები

რომელზედაც ყველა დიდს შეუძლიან თან უფასოდ შემოიყვანოს ბავშვი, ათი წლისაზე არა დიდი.

ა ნ ო ნ ს ი:

სამშაბათს, 7 აპრილს,

✦ სრულიად ახალი პროგრამა ✦

ძველი გამოიცვლება.

(1—ნას.—1)

ზუბალაშვილის სახალხო სახლი

შაბათს, 4 აპრილს, ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით ნ. ვ. გოგოლის დაბადებიდან ასი წლის იუბილეის სადღესასწაულოდ წარმოდგენილი იქნება:

„რევიზორი“

კომედია 5 მოქმ. ნ. ვ. გოგოლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ე. ჩერქეზიშვილისა, გამრეკელი, თამროშვილი; ბ-ნნი კ. მათირიშვილი, ზურაბიშვილი, გოცირიძე, ადამიძე, რომანიშვილი, დუმბაძე და სხვანი.

შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება კვირა საღამოს, 12 აპრილს. მზადდება წარმოსადგენად: „უდანაშაულოთ დასჯილნი“ ოსტროვსკისა, «პირველი და უკანასკნელი კოცნა» გესი და „სიძე-სიმამრი“.

ქართული სახალხო წარმოდგენების სექცია დაბეჯითებით სთხოვს საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. იმედია წესიერების დაცვაში თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

ბილეთები გაიყიდება ზუბალაშვილის სახალხო სახლში ყოველ დღე 12—2 და 6—8 საათამდის. რეჟისორი კ. შათირიშვილი. (2—უ—1)

გამოვიდა და ისყიდება

პ. ირეთელის ახალი პიესა

„ქ რ ი ს ტ ი ნ ე“

დრამა 4 მოქმ. 5 სურათად

(სიუჟეტი აღებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან).

წიგნი შეიცავს 80 გვერდს, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე სუფთად და ღირს 20 კ. შემოსავლიდან 10% გადადებულია ნინოშვილის ფონდისთვის. წიგნის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ნაღდ ფულზე, შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Типографія „Шрома“ Т. Е. Болквадзе.

ვინც 50—100 ცალამდე გამოიწერს დაეთმობა 25%.

ვინც პროვინციიდან თითო ცალს გამოიწერს შეუძლია ფულის მაგიერ გამოგზავნოს აბაზის მარკა და წიგნს მიიღებს. (5—177—2)

წარმოდგენა № 9. ქართული თეატრი წარმოდგენა № 9

ოთხშაბათს, 8 აპრილს, 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ბენეფისი ვასო აბაშიძისა

I

შერცხვენილი ქმარი

კომ. 3 მოქმედ. მოლიერისა თარგ. გ. თუმანიშვილისა.

II

ქორწილის წინ

ოპერეტა 1 მოქმედ. მუზ. ყონასისა თარგ. ვ.-აბაშიძისა.

III

მეჯლისი იტალიელებით

ოპერეტა 1 მოქმედებად მუზ. ოფენბახისა თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

✦ საოპერო ორკესტრი პ. ფალიაშვილის ლოტბარობით ✦

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. ✦ დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზე.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხ.

„კოლხიდაში“

იყიდება პარიზიდან გამოწერილი იონჯა (провансальская люцерна) შემოწმებული აბრეშუმის გრენი საიმედო ფირმებისა „პასხალიდი“ და სხვა ხეხილის ნერგები და სხვა. საჭირო ცნობები და პრეის-კურანტების მიღება შეიძლება გამგე გ. მ. ჩივაძისაგან. (20—6—17)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭომ გადასწყვიტა გამოსცეს ახლო მომავალში

სალიტერატურო კრებული.

განზრახულ კრებულში დაიბეჭდება როგორც ბელეტრისტული თხზულებანი, ისე კრიტიკული წერილები და სტატიები ხელოვნების შესახებ. აუწყებს რა ამ გადაწყვეტილებას ქართველ მწერლებს, საბჭო სთხოვს მათ, წარმოადგინონ თავიანთი ნაწარმოებნი.

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 30)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი ქუთაისში ვ. წერეთელი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (ნ—90)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჭალის ქუჩა, N 41, სახულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—45)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—9.)

ახლად გახსნილი

ტ ფ ი ლ ი ს ი ს

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—26)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის ჩაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—113)

ტფილისი, 3 აპრილი

კარგა ხანია, არც ერთი ისეთი სანუგეშო ამბავი არ გაგვიგია ჩვენის შინაურ ცხოვრების შესახებ, როგორც ის, რომ დამდეგ ზაფხულს წერა-კითხვის საზოგადოების თაოსნობით ტფილისში სოფლის მასწავლებელნი იქნებიან მოწვეულნი საგანგებოდ მათთვის მოწყობილს საზაფხულო კურსებზე.

როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, საქართველოში სახალხო მასწავლებელს ჯერ კიდევ ვერ დაუჭერია ის მაღალი ადგილი, რომელიც იმის დანიშნულებას შეესაბამება. ამას მრავალი მიზეზი აქვს და მათ შორის საკმაოდ დიდს როლს თამაშობს ის გარემოება, რომ თვით მასწავლებელთ არა აქვთ თავიანთ დიდ საქმისთვის შესაფერი მომზადება და ცოდნა. საოსტატო სემინარიები, საიდანაც გამოდიან უმთავრესად ეხლანდელი სოფლის მასწავლებელნი, ამზადებენ ისეთ მასწავლებელს, რომელიც ბავშვებს ორი ან სამი წლის მეცადინეობის შემდეგ ანა-ბანას კი შეასწავლის, მაგრამ მეტს ვერაფერს შესძენს. რა თქმა უნდა, უბრალო წერა-კითხვის ცოდნასაც თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სახალხო სკოლა ხალხის კეთილდღეობას ამით წინ ვერ წასწევს.

სახალხო სკოლის ასაყვანად მის შესაფერ სიმაღლეზე აუცილებელი პირობაა, რომ იგი ფართო და ღრმა გავლენას ახდენდეს სოფლის მოზარდ თაობის მთელს სულიერს აგებულებაზე. სკოლამ მოზარდ თაობას ყოვლის უწინარეს უნდა გაუფართოოს ტრადიციით მშობლებისაგან მიღებული წარმოდგენა გარემო ქვეყნის შესახებ, უნდა დაამძლევინოს ნაირ-ნაირი ცრუმორწმუნეობა, შეაგნებინოს, რა ადგილი უჭირავს ადამიანს ბუნებაში და სხვა.

რასაკვირველია, ეს მაღალი და ფართო მიზანი მარტოოდენ საკლასსო მეცადინეობით და წიგნებში ჩაბეჭდილ ასოების ამოკითხვით ვერ მიიწდომება. ამისთვის საჭიროა, რომ სოფლის მასწავლებელი თავის მოწაფეთა გულის მესაიდუმლე გახდეს, ზნეობრივად მოზიარე შეიქმნეს ყოველგვარ მათის ლხინისა და ჭირის, იქონიოს მათთან მჭიდრო და დაუსუსტებელი კავშირი სწავლის დამთავრების შემდეგ; საჭიროა, რომ სოფლის მასწავლებელი ყოველ წამს მზად იყოს გაჭირვების დროს სასარგებლო რჩევა და დარიგება მისცეს თავის მოწაფეებს და მათს მშობლებს; საჭიროა, მასწავლებელმა კარგად იცოდეს სოფლის გასაჭირი და სიტყვით თუ საქმით უჩვენებდეს გზას ამ გასაჭირის დასაძლევად... ამბობენ, გერმანიის გამარჯვება საფრანგეთზე ორმოცი წლის წინად და იმის სისტემატიური დაწინაურება ეკონომიურად და კულტურულად შემდეგში გერმანულ სოფლის მასწავლებლის საქმეაო.

მართალია, ჩვენებურ სოფლის მასწავლებელს გზად ის დიდი დაბრკოლება ეღობება, რომელიც მოითხოვს, რომ ჩვენებური სკოლა უფრო რუსიფიკაციის იარაღი იყოს, ვიდრე წარმატებისა, მაგრამ სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ ჩვენებური სოფლის მასწავლებელი განმარტოვებულად არა ჰგრძნობდეს თავს, რომ მას მთელი შეგნებული ნაწილი ქართველის საზოგადოებისა უმაგრებდეს ზურგს, ამხნევებდეს და ულვივებდეს ხალისს მძიმე უღლის საზიდველად. ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედი და უბედობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ ძალას და ღონეს გამოიჩენს ჩვენებური სოფელი ახალ ცხოვრების შეთვისებაში და რაოდენის სიმტკიცით დაიცავს იგი თავის არსებობას ახალს ეკონომიურს პირობებში. სოფლის მასწავლებლის მნიშვნელობაც სწორედ ამ ნიადაგზე ირკვევა.

ჩვენებურ სოფლის მასწავლებელს ესაჭიროება ერთის მხრით ზნეობრივი გამხნევება და მეორეს მხრით ხელის შეწყობა შესაფერ ცოდნის შესაძენად. წერა-კითხვის საზოგადოების მიერ განზრახული საზაფხულო კურსები რაოდენადმე დააკმაყოფილებენ ამ ორსავე საჭიროებას, მაგრამ მხოლოდ რაოდენადმე. ჩვენ დიდის აღტაცებით ვეგებებით ამ ახალ საქმეს და, ვფიქრობთ, რომ არც ერთი შეგნებული ადამიანი არ დაიზარებს შეძლების დაგვარად მხარი დაუჭიროს წერა-კითხვის საზოგადოებას ამ საქმეში. ჩვენის ფიქრით, სოფლის მასწავლებელნიც სიამოვნებით მიეგებებიან საზაფხულო კურსებს, გულმოდგინედ მოეკიდებიან საქმეს და, თუ ეს პირველი ცდა წესიერად იქმნა მოწყობილი, თვით ისინი მოითხოვენ, რომ კურსები ყოველ ზაფხულს იმართებოდეს.

არეულობა ოსმალეთში

(პეტ. დეპ. სააგენტოს დეპეშები)

სტამბოლი. სტამბოლის მცხოვრებლებმა საშინელი ღამე გამოიარეს. საღამოს თერთმეტ საათიდან ნაშუაღამევის ორ საათამდე სტამბულში ცხარე სროლა იყო, შემდეგ სროლა პერუში გადავიდა (სტამბული და პერუ უბნებია სტამბოლში). დილის ხუთ საათამდე სხვა და სხვა ადგილიდან სროლა ისმოდა, როგორც ხმა დადის, მთელ ღამეს ბრძოლა იყო ახალგაზრდა ოსმალთა ჯარსა და ახრარიებს შორის. საბოლოოდ ახრარიებმა გაიმარჯვეს. დანამდვილებითი ცნობები ჯერ არ არის. ხმა დადის, რომ სალდათები პარლამენტში შევიდნენ, სადაც რამდენსამე დეპუტატს მოეყარა თავი და ძალით აიძულეს დეპუტატები, თანხმობა გამოეცხადებინათ კაბინეტის გადადგომასა და სულთანთან დეპუტაციის გაგზავნაზე. ამ დეპუტაციით ნაწილი სალდათებისა მეორედ წავიდა სულთანთან ამნისტიის მოსათხოვად. ამნისტიას თხოულობენ აჯანყებულთათვის, რომ ისინი ამ აჯანყების გამო არ დაისაჯნენ. ამბობენ, ვითომ სულთანს ამაზე თანხმობა განეცხადებინოს, დიდმა ვეზირმა ხილმი-ფაშამ ქაღალდი შეიტანა სამსახურიდან გადადგომის შესახებ. შეიძლება ისევ ძველი ვეზირი ქიამილ-ფაშა დანიშნონ. ამ ამბის მიღებისთანავე ბრბო დაიშალა. არეულობის დროს მოჰკლეს იუსტიციის მინისტრი და დეპუტატი და ემირარსლანი, რომელიც შეცდომით ახალგაზრდა ოსმალთა გაზეთის „ტანინის“ რედაქტორი ეგონათ. დასჭრეს საზღვაო მინისტრი, დააპატიმრეს სამხედრო მინისტრი. საღამოს 11 საათზე სალდათები ჯგუფებად ყაზარმებში ბრუნდებოდნენ. როგორც ეტყობა, სერასკერიატი (სამხედრო სამინისტრო) ჯერ ისევ ახალგაზრდა ოსმალების მომხრე ჯარის ხელშია. ღამე სალონიკიდან მოელიან სამ პოლკს. ესენი ახალგაზრდა ოსმალთა მომხრეები არიან. შეიძლება ურთიერთის მოწინააღმდეგე ჯარის ბრძოლა კვლავ განახლდეს. თუმცა დღეს ახალგაზრდა ოსმალთა მოწინააღმდეგეებმა გაიმარჯვეს, მაგრამ სტამბულიდან მაინც ისმის სროლისა და სამხედრო ნიშნების ხმა. იქ დილიდანვე ბრძოლაა. დღეს გაზეთებში დაბეჭდილია, რომ სალდათები მხოლოდ ჰაერში ისროდნენ და ამით გამარჯვების გამო სიხარულს აცხადებდნენო. დიდ ვეზირად დაინიშნა გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი ტევფიკ-ფაშა, ხოლო სამხედრო მინისტრად—მარშალი ედხემ-ფაშა (ედხემ-ფაშა ის გენერალია, რომელიც ოსმალეთ-საბერძნეთის ომის დროს მთავარ-სარდლად იყო და რომელმაც ბერძენთა ჯარი დაამარცხა). დღეს ტელეგრაფზე კვლავ დაიწყეს დეპეშების მიღება.

ვენა. „კორესპონდენტ ბიუროს“ სტამბოლიდან დეპეშით ატყობინებენ: პალატის პრეზიდენტმა, დიდმა ვეზირმა და მინისტრთა მთელმა კაბინეტმა ქაღალდები შეიტანეს სამსახურიდან გადადგომის შესახებ. სულთანმა თანხმობა განაცხადა. მოელიან დიდ-ვეზირად ქიამილ-ფაშას ან საიდ-ფაშის დანიშვნას, ხოლო სამხედრო მინისტრად—ნაზიმ-ფაშისა. სალდათებმა მოჰკლეს დეპუტატი, რომელიც ძალიანა ჰგავდა ახალგაზრდა ოსმალთა ერთ ცნობილ დეპუტატს.

ვენა. „კორესპ.-ბიუროს“ დეპეშით ატყობინებენ სტამბოლიდან: დიდძალი ჯარი მიდის სტამბულს და მოდის იქიდან. ზოგ ჯარში ოფიცრებია, ზოგში—არა. როგორც ეტყობა, სალდათები აიძულებენ ოფიცრებს მხარი დაუჭირონ მათ.

31 მარტს ოთხ საათზე შემდეგი დეპეშა მოვიდა. მინისტრთა საბჭოს დილას თათბირი აქვს. ამავე დროს თათბირი აქვს ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტს. მეამბოხენი, ისლამის დაცვის გარდა, თხოულობენ ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის დათხოვნას, დეკრეტის გამოცემას, რომ ეს კომიტეტი სახელმწიფოს საქმეებში არ ჩაერიოს, დიდი ვეზირის, სამხედრო მინისტრის და პალატის პრეზიდენტის გადაყენებას და პირობის დადებას, რომ მეამბოხენი არ იქნებიან დასჯილნი. მეამბოხენი აფიცრებს საყვედურს უცხადებენ—გვიშლიდნენ ნუ ამბობთ ყორნით დაწესებულ ლოცვას სულთნის შესახებაო. მოლაპარაკებამ მეამბოხეებთან ჯერ-ჯერობით ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო. არტილერიას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოიყვანენ. მეამბოხენი საკმაოდ წყნარად იქცევიან. მათ უფროსობენ უნტერ-აფიცრები. მეამბოხეებს ეხლაც ემატებიან თითო-ოროლა სალდათები, პატარა რაზმები, კერძო პირების მიერ შეიარაღებული. ტელეგრაფის მავთულები მთელ ქალაქში დაჭრილია. დილით მეამბოხეებმა მოისურვეს შეერთებოდნენ სამხედრო სამინისტროში მყოფ ჯარს, მაგრამ ცხენოსანმა რაზმებმა შეუშალეს ხელი. მსხვერპლი ჯერ-ჯერობით მცირეა: ექვსი კაცია მოკლული. პარლამენტში შეკრებილმა დეპუტატებმა წინადადებით მიჰმართეს დანარჩენ დეპუტატებს, შეიკრიბნენ პარლამენტში მეამბოხეთა მოთხოვნილებების გასარჩევად.

ცხრა საათზე მიღებული დეპეშა: სხვა და სხვა წყაროდან მიღებულ ცნობით, მოკლული და დაჭრილია ოცდა-ათი კაცი.

თერთმეტის ნახევარზე მიღებული დეპეშა: მარშალი ედხემ-ფაშა დაინიშნა სამხედრო მინისტრად. იგი გახარებულ ჯარის თანხლებით და მუსიკით ილდის-კიოსკიდან სტამბულში წავიდა. ჯარი, როგორც ეტყობა დაკმაყოფილებულია. სულთნის პირველმა მდივანმა პარლამენტში წაიკითხა ირადე, სადაც ნათქვამია: სულთანი დასთანხმდა კაბინეტის გადადგომას და ახალ კაბინეტის შედგენასაო; წესიერების დასაცველად ზომებია მიღებულიო; იმ სალდათებს, რომელთაც ამბოხებაში მონაწილეობა მიიღეს, ეპატიათ დანაშაული; ამიერიდან შარიატი სასტიკად იქნება დაცულიო; ჯარს შეუძლიან ყაზარმებში დაბრუნდეს, ხოლო ხალხს—მუშაობას შეუდგესო. ირადეს ბოლო სიტყვების გამო დეპუტატებმა აღტაცება გამოსთქვეს სულთანის პატივსაცემლად.

სტამბოლი. ჯერ არ გამოუციათ ოფიციალური ცნობა სტამბოლში მომხდარ ამბების შესახებ. მნახველთა თქმით და სხვა ცნობებით საქმე ასე მომხდარა: სხვა და სხვა წრეებში თანდათან იზრდებოდა უკმაყოფილება ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის მოქმედებით. „სერვეტის“ რედაქტორის მოკვლამ ყველანი ძალზე ააღელვა. ამავე დროს სამღვდელოების ნაწილმა, რომელიც შარიატის მტკიცე დაცვას თხოულობს, შეადგინა ამ აზრით მაჰმადიანთა კავშირი. ამბოხება მოამზადეს ახალგაზრდა ოსმალთა მოწინააღმდეგეებმა ახრარიებმა მაჰმადიანთა ასოციაციასთან ერთად. ახალგაზრდა ოსმალებს იმედი ჰქონდათ სალონიკელ ეგერებისა, მაგრამ ისინი პირველნი მიემხრნენ მეამბოხეებს. მოძრაობა დაიწყო 31 მარტს შუაღამისას, როდესაც ეგერების ორმა ბატალიონმა უაფიცროებოდ ყაზარმებს თავი მიანება, პერიდან სტამბოლს წავიდნენ და პარლამენტის წინ აია-სოფიას მოედანი დაიჭირეს. ეგერების ორ ბატალიონს შეუერთდნენ გვარდიის ქვეითა ჯარის შვიდი ბატალიონი და

ნაწილი მატროსებისა. დილის სამი საათისთვის მოხდა მიტინგი, რომელშიაც ხუთი ათასი კაცი იღებდა მონაწილეობას. აფიცრები არ იყვნენ. ნაწილი აფიცრებისა დააპატიმრეს, ნაწილმა სერასკერიატს შეაფარა თავი. დილით გაჩნდნენ ჯარის სხვა ნაწილებიც და აგრეთვე სამხედრო სასწავლებლის იუნკრები. მეამბოხეებს არ მიემხრნენ: ეგერების ბატალიონი, რომელიც ილდიზს იცავდა, ეგერების მეორე ბატალიონი, რომელიც სერასკერიატში დარჩა, არტილერიის ნაწილი და ცხენოსან ჯარის რამდენიმე ესკადრონი, რომელნიც სერასკერიატს იცავდნენ. აია-სოფიას მოედანზე მყოფთ დილითა და მთელი დღის განმავლობაში შეუერთდა ექვსსამდე სოფტი, ხოჯა და ულემი. დილის 7 საათზე ილდიზ-კიოსკში გაჰგზავნეს პირველი დეპუტაცია. დილის 9 საათზე მინისტრები შეიკრიბნენ და დაიწყო სალდათებთან მოლაპარაკება. შემდეგ სერასკერიატი ეცადა ცხენოსან ჯარის იერიშებით ჩაექრო ამბოხება. ორივე მხრიდან რამდენიმე კაცი აღმოჩნდა მოკლული. იერიშებმა სარგებლობა ვერ მოიტანა. სერასკერიატში ტყვიის-მტყორცნელები დაიბარეს, მაგრამ გზაზე მეამბოხეებმა ეს ტყვიის-მტყორცნელები ხელთ ჩაიგდეს. გაიმართა მოლაპარაკება სალდათებსა და მეამბოხეებს შორის. შუამავლად შეიხ-ულ-ისლამი იყო. შედეგად ამ მოლაპარაკებას ის მოჰყვა, რომ კაბინეტი სამსახურიდან გადადგა, ქაღალდი ამის შესახებ სულთანს გაეგზავნა შუადღისას. სტამბულში ამ დროს ქუჩები ცარიელი იყო, დუქნები დაკეტილი. აია-სოფიას მოედანს ჯარი ერტყა, იქ არავის უშვებდნენ.

სტამბოლი. მინისტრები მთავრობის სადგომში არავის იღებდნენ, სერასკერიატის მოედანი ცარიელი იყო. დრო-გამოშვებით სერასკერიატიდან ისროდნენ თოფებს აფიცრები და ჯარის კაცები, რომელნიც [illegible] მომხრენი იყვნენ. ხიდზე მოკლულ აფიცრისა და ჯარის-კაცთა გვამები ეყარა, იდგა ორი ტყვიის-მტყორცნელი, რომელიც მიმართული იყო გალათისაკენ.

ნაშუადღევს პარლამენტში დეპუტატებმა იწყეს შეკრება. ჯარის-კაცები მხოლოდ მაშინ აძლევდნენ პარლამენტის შესვლის ნებას დეპუტატებს, როდესაც ეს უკანასკნელნი მტკიცე სიტყვას აძლევდნენ რომ შარიატს დაიცავენ. სულ შეიკრიბა სამოცამდე დეპუტატი. ისინი უსკიუბის დეპუტატის საიდის დეპეშით იყვნენ გამოწვეულნი ჯარის კაცთა მიტინგზე შემუშავებულ მოთხოვნილებათა შესახებ რეზოლუციის გამოსატანად. ახალგაზრდა ოსმალნი არ გამოცხადებულან. პირველ ხანებში მოლაპარაკება დეპუტატებსა და ჯარის-კაცებს შორის ფანჯრიდან სწარმოებდა, შემდეგ ჯარის კაცები შიგ პარლამენტში შევიდნენ. დაიწყო სხდომა, რომელმაც მიტინგის მოთხოვნილება ყველა მიიღო. დაადგინეს, გაეგზავნოს სულთანს დეპეშა და სთხოვონ, რომ დიდ ვეზირად კვლავ ქიამილ-ფაშა იქმნას დანიშნული, ხოლო მეამბოხეთათვის ამნისტია იქმნას გამოცხადებული. ახმედ-რიზა-ბეიმ, რომელიც მთავრობის დარბაზში იყო, ითხოვა სამსახურიდგან გადადგომა. ნაშუადღევის 4 საათზე სულთანის მდივანი მივიდა პარლამენტში და წაუკითხა ჯარის კაცებს სულთანის ბრძანება კაბინეტის გამოცვლაზე, ამნისტიაზე და იმაზე, რომ შარიატი მტკიცედ იქნება დაცული.

ვენა. „კორესპ. ბიუროს“ სტამბოლიდან ატყობინებენ: დეპუტატთა პალატის პრეზიდენტად აირჩიეს ალბანელთა ლიდერი ისმაილ-კემალი, შეიხ-ულ-ისლამი თავის ალაგს რჩება. რამდენიმე ახალგაზრდა ოსმალო სტამბულში უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის ძალა ძალიან დაეცა. ძველის ოსმალეთის მომხრეებმა თითქმის გაიმარჯვეს. დღეს ქალაქში აღელვებაა.

ვენა. „კორესპ. ბიუროს“ სტამბოლიდან ატყობინებენ: კორპუსის უფროსის ნაცვლად დანიშნეს კამენდანტი იავარ-პაშა. ამბოხებულებს თევტიკ-ფაშა არ უნდათ. ამბოხებულების პატრულები ქალაქს გარს უვლიან. შუაღამისას ქალაქში მშვიდობიანობა ჩამოვარდა. სალდათები, ყაზარმებიდან უაფიცრებოდ დაბრუნდნენ და ნიშნად სიხარულის ჰაერში ისროდნენ. სიხარული გამოიწვია ირადემ მინისტრთა კაბინეტის გადადგომის შესახებ. სროლამ საათ-ნახევარს გასტანა. ამან დიდი შიში გამოიწვია. მცხოვრებთ ეგონათ, რომ ჯარი ერთმანეთს ებრძვისო.

სტამბოლი. მტკიცდება, რომ საზღვაო მინისტრი დასჭრეს. გაზეთები ირწმუნებიან, რომ იგი მოკლულიაო. დაიჭრა აგრეთვე სამხედრო მინისტრი. შუადღის 4 საათის შემდეგ აღელვებულები დაწყნარდნენ. საღამოს 11 საათზე ახალი სამხედრო მინისტრი აია-სოფიის მოედანზე მივიდა. მან ისტრამ წინადადება მისცა სალდათებს დაშლილიყვნენ და გადასცა, რომ ახალი კაბინეტი შესდგაო. მნახველები ირწმუნებიან, რომ შეტაკება სოფიის მიტინგზე მყოფ სალდათებსა და სერასკერიატის დამცველებს მოუვიდათო. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც სროლას დაესწრო, ირწმუნება, რომ სროლამ დილის 11 საათიდან შუაღამის $1^1/_2$ საათამდის გასტანაო. სროლა ცხარე იყო. ყაზარმიდან დაბრუნებული სალდათები დილის 4 საათამდის შეუწყვეტლივ ისროდნენ. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი გამოურკვეველია. ახრარების გაზეთების სიტყვით, მოკლულია 12 კაცი, მათ შორის არის მინისტრები და აფიცრები. „ოსმანის ლლოიდის“ სიტყვით კი, მოკლული და დაჭრილი 100 კაცია. მნახველები ირწმუნებიან, რომ პარლამენტის ფანჯრები ჩამტვრეულიაო. დღეს ბანკები დახურულია. სტამბოლში სროლა განახლდა. პერის ზემო ნაწილში თოფის სროლაა.

სტამბოლი. ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის მომხრე გაზეთები „ტანინი“, „შურაი-უმეტი“, „საბახი“ და „ტიურკი“ დღეს არ გამოვიდნენ. ახმედ-რიზა, ჰუსეინჯახიდი და სხვა ახალგაზრდა ოსმალები გაიქცნენ. სალდათები თხოულობენ, რომ დიდ ვეზირად დანიშნოს, ქიამილ-ფაშა. სამხედრო მინისტრად—ნაზიმ-ფაშა. ჯერ-ჯერობით არავითარი მთავრობა არ არის, აგრეთვე არა სჩანან აფიცრები. სალდათები ქუჩაში ისვრიან. კაცს ეგონება, ალყა შემორტყმულ ქალაქში მოვხვდიო. რუსეთის საელჩოს ახლოს კინაღამ მოჰკლეს პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც შემთხვევით მოჰხვდა ამ ადგილას. სოფიის მოედანზე დილით ხელმეორედ გაიმართა მიტინგი. ედხემ-ფაშამ სალდათები დააწყნარა, რის შემდეგაც ისინი დაიშალნენ. სალდათები გზა-გზა ყვიროდნენ სულთანის პატივსაცემლად, ქუჩაში სროლა ასტეხეს, დაშავდა რამდენიმე კაცი. სალდათები მედუქნეებს არწმუნებენ ბევრ ფული გვაქო და ყველაფერში ფულს იძლევიან. საღამოს ექვს საათზე გამოიცა ბრძანება ახალ კაბინეტის შედგენის შესახებ. დიდ ვეზირად დაინიშნა ტეფიკ-ფაშა, სამხედრო მინისტრად—ედხემ-ფაშა, იუსტიციის—ჰასსან-ფეხმი, ფინანსთა ნური-ბეი, საზღვაო—მირ-რიზა, განათლების—აბდურახმან, ვაკუფებისა—ხამად-რიზა, შეიხ-ულ-ისლამი გარეშე საქმეთა, ვაჭრობა-მრეწველობის და სამთო მინისტრად წინანდელები რჩებიან. შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობას დროებით ასრულებს მინისტრის ამხანაგი.

ვენა. „კორესპონდ. ბიუროს“ სტამბოლიდან ატყობინებენ: დილით ზღვაში ჯავშნიანი გემი გავიდა. ამბობენ, რომ გემი სალონიკიდან მომავალ ჯარს წინადადებას მისცემს, უკან დაბრუნდეს და თუ ამან არ გასჭრა, ძალით აიძულებენო. გუშინ მოჰკლეს და დასჭრეს 100 კაცი. ბევრი აფიცერია მოკლული ნაცემი და დაჭრილი. ზოგიერთი აფიცერი შეიპყრეს.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 აპრილი

საზღვარ-გარედ.

როჩესტერი. (ნიუ-იორკის შტატი). ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში ცეცხლი წაეკიდა მრავალ სახლს და რამდენსამე ეკლესიას. საღამოთი ცეცხლი ჩააქრეს. რამდენიმე ასი კაცი უსახლ კაროდ დარჩა. ადამიანის მსხვერპლი არ არის.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს ცნობით ინგლისის მთავრობას ავსტრო-ჰუნგრეთისთვის შეუტყობინებია, მე არაფერი საწინააღმდეგო არა მაქვს, რომ ბერლინის ტრაქტატის მე-25 სტატია გაუქმდესო.

კელნი. „კელნიშე ციტუნგ“-ში დაბეჭდილია დეპეშა გერმანიის კანცლერის ბიულოვისა და ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრის ტიტონის შეხვედრის გამო. დეპეშაში სიხარულით გამოთქმული, რომ ამ დროის პოლიტიკურ საკითხებში ორივე სახელმწიფო ერთის შეხედულებისა ყოფილა. სამთა კავშირის შესახებ არაფერი არა ყოფილა ნათქვამი, რადგან ეს კავშირი რამდენისამე წელს კიდევ ძალაში იქნება.

ბერლინი. „ბერლინერ ტაგებლატის“ რედაქტორს სასამართლომ 2,500 მარკა ჯარიმა მიუსაჯა. მიზეზი—სამხედრო და საგარეო საქმეთა მინისტრების შეურაცხყოფაა.

რუსეთი

მოსკოვი. ბუტირის სატუსაღოში ტუსაღმა დანა დაარტყა ციხის უფროსის თანაშემწეს. თანაშემწეს მარტო ტანისამოსი აქვს გაჭრილი. ტუსაღმა იქვე საწამლავი დალია, მას კატორღა ჰქონდა გადაწყვეტილი. ზედამხედველებმა რევოლვერებით სამი ტუსაღი დასჭრეს.

ლიუბიმი. რევიზიის შემდეგ, გუბერნატორმა დაითხოვა ისპრავნიკი, ბოქაული, უბნის ზედამხედველი და ურიადნიკი.

პეტერბურგი. ლოპუხინის საქმის წინასწარი გამოძიება უკვე დამთავრდა. ბრალდებულს ხვალ ჩააბარებენ საბრალმდებლო ოქმს.

ვარშავა. გარდაიცვალა ცნობილი ანტისემიტი ჟურნალ „როლიას“ რედაქტორ-გამომცემელი იან ელენსკი. განსვენებულმა დაარსა კათოლიკების კავშირი.

ლიუბლინი. 27 მარტს ღამის 3 საათზე კატორღელები და გამოძიების ქვეშ მყოფნი თავს დაეცნენ ციხის ზედამხედველებს და იარაღი აჰყარეს. დაჭრილია ზედამხედველი და ტუსაღი. სატუსაღოში საჩქაროდ მოვიდა გუბერნატორი. დაიბარეს ჯარი. წესიერება აღადგინეს.

ყაზანი. საგუბერნიო მმართველობამ დაადგინა სამართალში მისცეს საგუბერნიო გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე გერკენი და გამგეობის ორი წევრი ბერსტელი და პელკოვიჩი. მათ აბრალებენ სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებას.

მოსკოვი. ქალაქის გამგეობის სადგომში გაიხსნა საქარხნო ექიმებთა კრება. კრებას ესწრება 400 კაცი.

გაზეთ „ფორვერტსი“-ს იუბილეი

პირველ აპრილს 25 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც პირველად გამოვიდა ბერლინში ეხლანდელი ცენტრალური ორგანო სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა „ფორვერტსი“ („წინ“). ნიშნად საიუბილეო დღესასწაულისა, პირველი აპრილის ნომერი ზარწყინვალე ყდაში ჩასმული, შიგ მრავალი სურათი აქვს ჩართული გაზეთის ეხლანდელ და წინანდელ რედაქტორების და თანამშრომლებისა. ამავე ნომერში მოთავსებულია სხვა და სხვა ქვეყნის ცნობილ სოც.-დემოკრატების სტატიები: პაულ ზინგერისა, მეჰრინგისა, ვიქტორ ადლერისა, შლუტერისა, ჟან ჟორესისა, ბელფორტ-ბაქსისა, კეირ ჰარდისა, ლაფარგისა, ბებელისა, კაუცკისა, ვანდერველდესი და გ. პლეხანოვისა. მოთავსებულია აგრეთვე მარქსის ერთი წერილი. საიუბილეო ნომერი საერთაშორისო მიმოხილვას მოაგონებს მკითხველს.

ეს გაზეთი დაარსდა 1884 წელს 1 აპრილს, როცა გერმანიაში სოციალისტების საწინააღმდეგო კანონი მოქმედებდა და ამიტომ სოციალისტური პრესსა თითქმის სრულიად აღაგმული იყო. მაშინ ამ გაზეთს „Berliner Yolksblatt“ (ბერლინის სახალხო გაზეთი) ერქვა და დიდის სიფრთხილით ეჭირა თავი, რომ ადმინისტრაციის დევნა აეცდინა. ეხლანდელი სახელი „ფორვერტსი“ გაზეთმა მხოლოდ მაშინ დაირქვა, როცა სოციალისტების კანონი დაეცა (1890 წელს). გერმანელ სოციალ-დემოკრატების პარტიულმა კრებამ ჰაალეში ეს გაზეთი თავის პარტიის ცენტრალურ ორგანოდ გამოაცხადა. გაზეთის მთავარ რედაქტორად ცნობილი მოღვაწე ლიბკნეხტი გახდა. თუმცა პირველი ხანა „ფორვერტსის“ არსებობისა მეტად მძიმე იყო, მაგრამ იგი მაინც მუდამ სინდისიერად ასრულებდა თავის დანიშნულებას და ყოველთვის პატიოსნურად გამოჰხატავდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის სულის-კვეთებას. ვენის „Arbeiter-Zeitung“-ი სწერს, ისტორიკოსი, სოციალ-პოლიტიკოსი და სოციალ-პსიხოლოგი ამ გაზეთის ფურცლებში თავისთვის მეტად მდიდარ მასალას იპოვნისო.

„ფორვერტსი“ მეტად გავრცელებული გაზეთია. თუმცა პირველად დიდს ფინანსიურ გაჭირვებაში იმყოფებოდა, მაგრამ თანდათან გალო-

ფელეტონი

კავკასიის კედელი

საზოგადო მიმოხილვა.—კედლის ნანგრევები საინგილოში.—კედლის გაგძელება ნუხის მაზრასა, შირვანსა და დაღესტანში—ძველი ქალაქის ჰოგა ანუ დარუბანდის კედელი.—რა მნიშვნელობა ჰქონდა კედელს?—ვინ ააშენა კედელი? ალბანელნი და სპარსეთის ხოსრო ანუშირვანი.

ის უზარმაზარი კედელი, რომლის ნაწყვეტებიც დღესაც კიდევ მშვენივრად არის შენახული ზოგიერთ ადგილას საინგილოში, ყველა უცხოელ მწერლისა და მოგზაურის ყურადღებას იქცევდა. რომისა, საბერძნეთისა და უმეტესად არაბისტანის გეოგრაფნი თითქმის ყველანი იხსენიებენ მას. არც გასაკვირველია: ეს კედელი თავისებურს ჩინეთის კედელს მოგვაგონებს, იმ ჩინეთის კედელს, რომლის უზარმაზრობისა და არა ჩვეულებრივ სიდიდეს გაკვირვებაში მოჰყავს ყველა.

კედელი, რომელიც ისტორიაში ცნობილია კავკასიის კედლად, იწყებოდა ალაზნის ანუ ალბანიის კარიდან[1]), გადიოდა მთელის საინგილოს მთის ფერდობზე, ნუხის მაზრაზედ და მერე შირვან-ბაქოდან უხვევდა დღევანდელ დარუბანდამდის, სადაც ძველად ალბანელთა ქალაქი ჰოგა იყო. აქედან კიდევ კავკასიის ქედზე გადადიოდა და ჩრდილოეთიდან ჰკეტავდა ამიერ კავკასიას.

ეს კედელი დღესაც მშვენივრად არის შენახული დარუბანდში. ვინც დარუბანდისაკენ უმოგზაურნია არ შეიძლება არ ენახოს ის უზარმაზარი კედელი, რომელიც ზღვის სანაპიროებიდან შესდევს მთის ფერდობებს, მერე მთის წვერებზედ ადის და ისე მისდევს მთა-მთა, რაიც ჩრდილოეთიდან შეუძლებლად ჰხდიდა ამიერ-კავკასიაში შემოსვლას. არა ნაკლებ კარგად არის შენახული კედელი საინგილოში. საინგილოში მოგზაურს მაწეხის მახლობლად შეჰხვდება ევრედ წოდებულს წოურკაწში, საიდანაც გზა გადადის დაღესტანში. აქ კედელში ჩატანებულია კოშკი, რომელიც ალბად საყარაულო სადგომს წარმოადგენდა. აქედან მისდევს გზა და გზა, გაივლის მაწეხზედ, კატეხზედ და სოფელ ძველ ფიფინეთს მიუახლოვდება. ზოგან ამ ადგილებში კედელი საკვირვლად კარგად არის შენახული, კაცს ეგონება, ახლო წარსულში არის აშენებულიო. კატეხის მახლობლად კედელი დაახლოვებით ორ არშინის სიგძე იქნება და საჟენ ნახევარი კიდევ სიმაღლე ექნება. იმ ადგილებში, სადაც კედელი კარგად არის დარჩენილი, ზოგან შენახულა პატარა კოშკები, რომელნიც საყარაულებს უნდა წარმოადგენდნენ. კედელში ჩატანებულია აგრეთვე თოფის სასროლი პატარა ფანჯრები. სოფელ ფიფინეთთან ანუ ეხლანდელ ლეკების თალისთან ეს კედელი სულ აღარა სჩანს, თუმცა ამ რამდენიმე წლის წინად კიდევ იყო შენახული, მაგრამ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დააქციეს და საშენებელ მასალად გამოიყენეს. არავინ არ გამოჩნდა, რომ დაეშალნა ამ ისტორიულ კედლის დანგრევა. თალიდან ეს კედელი სწყდება ფერზანლის მინდორში. ამ ადგილებში, ე. ი. თალიდან ფერზანლის ველამდის, კედელი ბევრს ადგილას დარღვეულია, დანგრეულია და აღარც ისეთი სიმაღლე და სიგანე ეტყობა, როგორც კატეხ-მაწეხისაკენ. სოფ. მუხახის გამოღმაც კარგად არის რამდენიმე ადგილას მთის ფერდობებში ეს კედელი შენახული სოფელ კაკშიაც თურმე ეტყობოდა ეს კედელი, მაგრამ აქაც ხალხს დაურღვევია და საშენებელ მასალად გამოუყენებია.

კედელი, როგორც ზემოაც მოვიხსენიეთ, საინგილოს შემდეგ ნუხის მაზრასა და შირვანისაკენაც მიდიოდა. მაშასადამე, ნანგრევები იქითაც უნდა იყოს. ნუხის მაზრის კუთხეშეხსა და ვართაშნის საბოქაულოებში დღესაც არის მთის ფერდობების გასწვრივ მთელი რიგი ციხე-კოშკებისა და საძირკველი და დანგრეულის კავკასიის კედლისა[2]) იმასვე ვხედავთ ბაქოს გუბერნიაში შირვანისაკენ, მთის ფერდობების გასწვრივ კედლის ნანგრევები მთელი ათის ვერსის სიგძეზედ მისდევს სოფ. დივიჩისა და მდ. გილგან ჩაის მახლობლად, რომელსაც ადგილობრივ დღესაც ეძახიან „ისკანდარ სამთი“.[3]), შირვანიდანეს კედელი ზღვის ნაპირებს შესდევდა და მიდიოდა ალბანელთა დედა ქალაქ ჰოგამდის ანუ დღევანდელ დარუბანდამდის. იქ, სადაც დარუბანდია, ისე ახლო არის მისული ზღვასთან კავკასიის უღელ-ტეხილი, სულ ვიწრო გასავალიღაა დარჩენილი ზღვასა და უღელ-ტეხილს შორის, რისგამოც ქართველებს ტყუილად კი არ დაურქმევიათ ამ ადგილისათვის ზღვის კარი. ეს თითქმის ერთად-ერთი ბუნებრივი საუკეთესო და მოხერხებული გზა იყო ჩრდილოეთიდან ამიერ-კავკასიაში შემოსასვლელად და ვინც იმას კარგად გაამაგრებდა და შემოუსვლელს გახდიდა ჩრდილო კავკასიიდან, ის იქნებოდა ბატონ-პატრონი დარუბანდის ჩამოქვევით ადგილებისა. ამიტომაც კავკასიის კედელი ამ ადგილას უმწვერვალეს სიდიდისა და სიგანისა იყო. ზოგიერთ მეისტორიის თქმით, ეს კედელი გაგძელებული იყო ერთის მხრით თიანეთამდის და მეორე მარით თერგის ოლქის მდინარე სუნჯამდის.

მიზანი და დანიშნულება ამ უშველებელ კედლისა, რასაკვირველია, ეს იყო—მტერთაგან თავის დაცვა, მათთვის ჯეროვანი პასუხის გაცემა. ძველს დროში, როცა საომარი იარაღი და ტეხნიკა განვითარებული არ იყო, ასეთს კედლებსა და კოშკებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ. ერთის მხრით ამ კედლებს იქით მცხოვრებნი მთებში ცოლშვილსა მალავდნენ, ავეჯეულობასა და განძეულობას უზრუნველჰყოფდნენ მტრის შემოსევის დროს, მეორეს მხრივ კედელთან ჩასაფრებულ ჯარს კარგი საფარი ჰქონდათ და მარჯვედ უხვდებოდნენ მტრის მისეულს იერიშს. ამ კედელს უკანვე იმალებოდნენ შემდეგში ქართველთა მეფენი და დიდებულნი „ქართლის ცხოვრების“ მოწმობით: „ხოლო მეფე დარი და დისწული მისი გადავიდეს კახეთად და შევიდეს ქვეყანასა მის კლდითა მოზღუდულობითა“, ან კიდევ „ვითარ შეიპყრნენ ქართველთა მეფე მირდატ სპარსთა, ნათესავნი ქართველთა მეფეთანი დარჩნენ ხევსა კატეხისასა“.[4])

მაგრამ ვის უნდა აეშენებინა ეს უშველებელი კედელი? თუ მხედველობაში მივიღებთ იმ საზღვრებს და ადგილებს, სადაც აშენებულია კედელი, უნდა დავასკვნათ, რომ პირველი აშენებელნი ამ კედლისა ალბანელნი უნდა ყოფილიყვნენ, რადგან სწორედ იმ ადგილებში მდებარეობდა ალბანია. ალბანიასაო, ამბობს მეათე საუკუნის მწერალი კაღანკატვაცი,[5]) სამხრეთით საზღვრავს ალაზანი და მტკვარი, აღმოსავლეთით კასპის ზღვა და ჩრდილოეთით მდინარე სამუროს მიდამოები დარუბანდისაო, ასეთსავე საზღვრებს გვიჩვენებენ ალბანიის დაახლოვებით სხვა მწერალნიც.

ალბანია კულტურით ძლიერი ქვეყანა იყო და ალებ-მიცემობა ჰქონდა გამართული სხვა ქვეყნებთან. გავიხსენოთ მარტო ალბანელთა ქალაქი ჰოგა (დარუბანდი) და ყაბალა, რომელნიც მაშინდელს დროში დიდ სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენდნენ და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელს კავკასიის ალებ-მიცემობაში. ამ ქალაქებში ამზადებდნენ სხვა და სხვა ქსოვილს, ჰყიდდნენ მონებს და სხვა. ამიტომ ალბანელთა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო იყო მშვიდი და წყნარი ცხოვრება, რომელსაც ხელს უშლიდნენ თანდათან გაძლიერებული ჩრდილოეთის ველური ხალხი: ხაზარები, სკითები, სეჩირები, როსები და სხვანი, რომელთა ერთად-ერთ ხელობას სხვათა აკლება-აწიოკება და ნადავლით ცხოვრება შეადგენდა, მოსვენებას არ აძლევდნენ ალბანელთ. ეს უბედურები, რომელთაც მუდმივი ბინადრობა არც კი სადმე ჰქონდეთ, გამოივლიდნენ ხოლმე დარუბანდზედ, რომელიც ერთად-ერთი ბუნებრივი გასავალი იყო ჩრდილოეთ კავკასიიდან ამიერ-კავკასიაში მოედებოდნენ მახლობელ ადგილებს და ნაცარ-ტუტას ადენდნენ ყველაფერს. ვაჭრობით განთქმულ ყაბალას[6]) არა ერთი და ორი აკლება ახსოვს ხაზართა და რუსთაგან.[7]) ამ ხაზართა ველურმა ურდოებმა ისე გაუჭირეს საქმე ალბანელთ, რომ დედა ქალაქი ჰოგა (დარუბანდი) მიატოვეს და სატახტო ქალაქად ყაბალში მდებარე ქალაქი პარტავი გახადეს.

აქედან აშკარაა, ალბანელთა კულტურულ ცხოვრებისათვის და ალებ-მიცემობის განვითარებისათვის, რა დიდად საჭირო იყო მყუდროება. ჩრდილოეთ კავკასიის ბრბონი მოსვენებას არ აძლევდნენ მას, ალბანელნიც გულხედ ხელდაკრეფილნი არ ისხდებოდნენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უწევდნენ ჩრდილოეთის ურდებს. ასეთს შემთხვევაში, რასაკვირველია, ალბანელთ პირველ ყოვლისა დაებადებოდათ აზრი კედლის აღმართვისა იმ ერთად-ერთ უმთავრეს გასავალში, საიდანაც ეცემოდნენ ეს ბრბონი. ამიტომ ყოველ ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ პირველნი აშენებელნი ამ კედლისა ალბანელნი უნდა იყვნენ. ამ კავკასიის კედლის აშენებაში მონაწილეობას მიიღებდნენ ის ქართველებიც, რომელნიც ალბანიის სამფლობელოში სცხოვრობდნენ ანუ საქართველოს ალბანიაში.[8]) დღესაც დარჩენილია ინგილოებში გადმოცემა კედლის აშენების შესახებ. ხალხს ჯერ მასალა მიაზიდვინესო, მერე გასაკეთებელ კედლის სიგძეზე დააყენესო, დაჰყვეს ნაწილ-ნაწილად და უბრძანეს კალატოზებს კედლის აშენებაო. ეს კედელი ერთის წლის განმავლობაში დამთავრდა, რადგან მთელი კედლის სიგძეზე ერთსა და იმავე დროს იყო მუშაობა.

წერილობით საბუთი ალბანელთა მიერ კედლის აშენებისა ჯერ-ჯერობით არ აღმოჩენილა, ასეთი მწარე ბედი არგუნა ისტორიამ ალბანელთ. მთელი ეს ერი, რომელსაც თავისი კულტურა და მწერლობა ჰქონდა, სრულიად გაჰქრა, კვალწმინდათ და მწერლობაც დაიღუპა[9]) და, რა გასაკვირველია, ისტორიული რამ საბუთი მათ მიერ კედლის აშენებისა გაჰქრალიყო. თუ ასე არ იყო, კლასიკური მწერლე-

ნიერდა და ამ ჟამად დიდს შემოსავალს აძლევს პარტიულს კასსას. 1894 წელს, მაგალითად, 45,000 ხელის მომწერი ჰყავდა და 47,504 მარკა გადასცა მან, როგორც წმინდა მოგება, პარტიულ კასსას. თუმცა ამ ჟამად გერმანიაში სამოცზე მეტი სხვა და სხვა სოციალ-დემოკრატიული პარტიული გამოცემა გამოდის, მაგრამ „ფორვერტს“ მაინც გერმანიის ყველა სხვა პოლიტიკურ გაზეთზე მეტი გასავალი აქვს. რადგან გერმანიაში პროვინციალური სოციალ-დემოკრატიული პრესსა დიდად არის განვითარებული, ამიტომ „ფორვერტს“ უფრო ის მნიშვნელობა აქვს, რომ მთელის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობის სათავეში სდგას. ბურჟუაზიულ პრესსაც სწორედ ეს გაზეთი აქვს მიზანში ამოღებული.

როგორც ვიცით, გერმანიის ს.-დემოკრატიული პარტია უფრო მდიდარია პირადის ძალებით, ვიდრე ევროპის დანარჩენ ქვეყნებისა. ამიტომ წინადაც და ეხლაც ყველა ქვეყნის ს.-დემოკრატია გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს გერმანელ მეგობრებს. ესაა მიზეზი, რომ „ფორვერტს“ დიდი გავლენა ჰქონდა და აქვს გერმანიის საზღვრებ გარედაც, განსაკუთრებით ავსტრიაში. რა თქმა უნდა, ამ გაზეთის იუბილეის სიამოვნებით მიეგება, სხვათა შორის, ავსტრიის სოციალ-დემოკრატების მთავარი ორგანო „Arbeiter-Zeitung“, რომელიც სწერს, თუმცა „ფორვერტსი“ უკვე 25 წლისაა, მაგრამ მაინც ისევ ახალგაზდაა, მოქმედი, ხალისიანი და საბრძოლველად გამზადებულიო.

საინტერესოა, რომ ვენის „მუშათა გაზეთი“, იგონებს რა „ფორვერტსის“ წარსულს, დასძენს: „ჩვენთვის, ეხლანდელ ურთიერთობის პირობებში, თითქმის წარმოუდგენელია ის ფაქტი, რომ ამ გაზეთს („ფორვერტს“), ვიდრე სოციალისტების საწინააღმდეგო კანონი გაუქმდებოდა, მარტო ორი რედაქტორი და რამდენიმე თანამშრომელი ეხვია გარშემოვო“. ბევრი რამე რაც ავსტრიისა და გერმანიაში დაუჯერებელი და წარმოუდგენელია, ჩვენ, რუსეთში, საკუთარს ზურგზე გვიხდება გამოვცადოთ.

ახალი ამბავი

ტფილისი

კაზმულ ხელოვნების საზოგადოება. ამ დღეებში მოხდა კრება კაზმულ ხელოვნების კავკასიის საზოგადოებისა. კრებამ განიხილა და დაამტკიცა წარსულ წლის მოქმედების ანგარიში და აირჩია სარევიზიო კომისია. საანგარიშო წელს საზოგადოებას შემოსვლია 8531 მან. ხარჯიც ამდენი ყოფილა. წელს შემოსავალი მოსალოდნელია 7350 მან. საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰყოლია 8 სტიპენდიანტი: საგინიანცი, ბადალიანცი, მინასიანცი, ოსიპიანცი, არაქელიანცი, ბეროიანცი, კოშელავა და პურტოიანცი. კრებამ საპატიო წევრად აირჩია ლ. ი. ზუბალაშვილი, ხოლო მუდმივ წევრად პ. ი. თუმანიშვილი საზოგადოების ნივთიერ დახმარებისთვისათვის.

ახალი პოემა. მგოსანმა ვაჟა-ფშაველამ დაასრულა ახალი პოემა „მთების ერთობა.“

ტრამვაი. ტრამვაის დირექტორის განკარგულებით, ვაგონების მიმოსვლა აპრილიდან ამ რიგად შეიცვალა: ვაგონები დილით $6^{1}/_{2}$ საათზე გამოვლენ და მოძრაობა შესწყდება ღამის $11^{1}/_{2}$ საათზე. მაისიდან მოძრაობა დაიწყება დილის 6-დან და გასტანს ღამის 12 საათამდე.

ლექცია. დღეს, საღამოს 6 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრეს ბაღი) პროფ. ალ. ხახანაშვილი წაიკითხავს უკანასკნელ ლექციას ქართულ მწერლობის ისტორიიდან.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. დღეს, პარასკევს, 12 საათისათვის, თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოში (ბელინსკის ქ. № 2) დანიშნულია „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავენ: პროფ. ალექს. სოლ. ხახანაშვილი: „ქარაგმებით შემოღება სიტყვებისა ძველს ხელნაწერებში“ და იუს. ირ. აბულაძე: ა) ქართული გრამატიკიდან და ბ) „ბარამიანის“ შესახებ.

მკვლელობის გამო დაპატიმრება. ამ ორი თვის წინად სოლოლაკის აღმართზე ნახეს საშინლად დასახიჩრებული და დაკლული გვამი ვინმე ბაქრაძისა, 18—19 წლის ახალგაზდისა. მოკლულს 12-მდე ჭრილობა აღმოაჩნდა. ამ საქმეში ეჭვი მიიტანეს და დააპატიმრეს ბაქრაძეს ამხანაგი გალუსტიანცი და ორიც სხვა.

ინსტრუქტორები. მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მთავარ სამართველოს კავკასიის რწმუნებულის განკარგულებით, წინა წლების ჩვეულებისამებრ მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორები დაიგზავნენ კავკასიის სხვა და სხვა კუთხეში. ქართლსა და იმერეთში იგზავნება ი. ქუთათელაძე, კახეთში—აფრიკიანცი, ნუხაში—გორბაჩოვი, ჩრდილოეთ კავკასიაში—ჟუკოვსკი, ერევანში—სუნდუკიანცი.

ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებანი. ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის 2 კვირით დაპატიმრება მიესაჯა მიხეილ გასიუნასბორდაშიუნას. საგენერალ-გუბერნატოროდან გაძევება მიესაჯათ გიორგი ტანგუაშკაულს, ალექსანდრე ნონიევს, ივანე გვეტაძეს, პეტრე გაბუჩიას და არტემ მამულოვს.

კრება. დღეს, 3 აპრილს, სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ კომიტეტის ინიციატორობით, სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში დაიწყება კრება კავკ. შინა მრეწველებისა. კრებას წარედგინება მოხსენებანი იმის შესახებ, თუ როგორ გავრცელდეს გაუმჯობესებული საქსოვი იარაღები, როგორ იქნას მოპოვებული ბაზარი, შინა-მრეწველობის ნაწარმოებთათვის და სხვა.

თავ. თუმანიშვილის წასვლა. სამსახურის საქმების გამო ამ დღეებში ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თავ. პ. ი. თუმანიშვილი პეტერბურგს მიდის, სადაც აპრილის ბოლო რიცხვებამდე დარჩება.

პრ. ხახანაშვილი. პროფ. ალ. ხახანაშვილი დღეს საღამოთი დაამთავრებს ლექციებს და დღესვე გაემგზავრება მოსკოვს. გზად პროფესორი შევილის ბაქოში და იქ ორს ლექციას წაიკითხავს ქართულ ლიტერატურის შესახებ.

ქალთა არტელი. ტფ. ქალაქის გამგეობის წევრის ალ. მ. არგუთინსკი-დოლგორუკის განკარგულებით და ქ-ნ ს. ჩხარტიშვილის მეთაურობით, ზუბალაშვილების სახალხო სახლის კაპელდინერებად შესდგა ქალთა არტელი.

გაჩხრეკა და დაპატიმრება. ტფ. პოლიციამ 1 ნაწილში გაჩხრიკა რამდენიმე სახლი და დააპატიმრა 56 კაცი.

ფოსტის განყოფილების უფროსის მოკვლა. დეპეშათა სააგენტოს სიტყვით, ნუხის მაზრაში მოჰკლეს კუტკაშინის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი. ამის გამო ეჭვით დააპატიმრეს მამასახლისი და დარაჯი.

1 აპრილს ნიკოლოზის ქუჩაზე (№ 13 სახლი) მეთორნე ერასტი ბუხრაშვილი ძილის დროს მეზობელმა ერვანდ გოქდიძემ რაღაც იარაღით მუცლში დასჭრა. გოქდიძე მიმალა. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ნება მოგვეცით თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით, გულითადი მადლობა გამოუცხადოთ სიღნაღის მაზრის [illegible] ნიკოლოზ ჯანდიერს, რომელმაც კეთილი ინება და შემოსწირა ნუკრიანის სამრევლო სკოლას სხვა და სხვა სასწავლო წიგნები ღირებული ხუთმეტ მანეთად. მზრუნველი სკოლისა ნ. ანდრონიკაშვილისა სკოლის გამგე მღვ. ვ. ნათიძე და მასწავლებელი ნ. ჩახნაშვილი.

ბრძოლა არდაბილში

(წერილი სპარსეთიდან)

გამართლდა, ხმები, რომ არდაბილის გუბერნატორი რაშიდ-ეიულ-მიულქი საომრად წამოვიდა ასტარისაკენაო. 20 მარტს ასტარელ რევოლიუციონერების უფროსმა უსეინ-ალი-ხანმა ცნობა მიიღო, რომ რაშიდ-ეიულ-მიულქი 3000 კაცით გამოილაშქრაო. უსეინ-ალი-ხანმა მაშინვე მეომარნი გაჰგზავნა ჰეირანისაკენ. ესენი უნდა ჩასაფრებულიყვნენ სხვა და სხვა სოფელში. სხვათა შორის, ასაფეთქებელ მანქანებით გაიგზავნა ხუთი ქართველი, ოთხი სომეხი, ორი რუსი და ორიც მაჰმადიანი. რევოლიუციონერები იძულებულნი გახდნენ პირველი სიმაგრე დაეთმოთ მოწინააღმდეგეთათვის, რადგან მათ ქვეითა ჯარმა ზევიდან წამოუარა და განდევნა საფრებიდან.

ბოლოს გუბერნატორმა მოაწია ჰაერანის ეგრედ წოდებულ საკანს (გზა, რომელსაც ამფითეატრივით ირგვლივ მაღლიდან გზები დაჰყურებენ). შაჰის ჯარის აქ მოსვლისათანავე ყოველის მხრიდან სროლა ასტყდა. გუბერნატორის ჯარმა მოინდომა პასუხის გაცემა, მაგრამ რევოლიუციონერები არსად სჩანდნენ. ეს უკანასკნელნი ისე მოხერხებულად ჩამალულიყვნენ საფარებში, რომ მოწინააღმდეგეებმა არ იცოდნენ, საით მიემართნათ თოფები და საით დაეწყოთ სროლა. მათ ორმოცამდე კაცი მოუკლეს. სწორედ ამ უნუგეშო მდგომარეობაში იყვნენ, რომ უეცრად იგრიალა უზარ-მაზარმა ყუმბარამ (ბომბამ). იქ მყოფმა ილაპარაკა, რომ ყუმბარის საშინელმა ხმამ ყველას თავზარი დასცა; კაცს ეგონებოდა, ცა ჩამოიქცაო.

ამ ყუმბარის შემდეგ გუბერნატორის ჯარი, თავის სასიქადულო შახსევენლებით, უკუქცეულ იქმნა დიდის ზარალით. ჯერ-ჯერობით აღმოჩნდა 75 კაცი მკვდარი, 89 დაჭრილი და თოთხმეტიც ტყვედ წამოყვანილი. გამარჯვებულთ დარჩათ მრავალი თოფ-იარაღი, სურსათი, ცხენი და სხვა. ხმებია, რომ შეიძლება ამ დღეებში კვლავ მოხდეს ბრძოლა, რადგან გუბერნატორმა გადასწყვიტა ეხლა რუსის საზღვრით მოვიდეს ასტარაშიო.

პლასტუნის ყაზახთა ჯარი დღესაც რუსის ასტარაშია. ელიან სხვა ჯარსაც.

ასტარელი.

აკაკის ფონდი

გთხოვთ დაბეჭდოთ ანგარიში ქალაქ ბაქოში გამართულ აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოსი (21 დეკემბერს 1908 წელს).

შემოსავალი: ბილეთებისა 1207 მ. 40 კ., პროგრამებისა, ლენტებისა—მგოსნის სურათებით, მგოსნის სურათებისა და ღია ბარათებისა 129 მ. 45 კ., შემოწირულება გ. ზ. ა. ტაგიევისაგან 100 მ. სულ 1436 მ. 85 კ.

გასავალი: შენობის ქირა 210 მ., ტანისამოსი: მგალობლებისათვის და მსახიობებისათვის 165 მ. 43 კ., ვარსამს 10 მ., მარკები ბილეთებისათვის 45 მ. 96 კ., აფიშები და პროგრამები 20 მ., აფიშების გასაკრავი 6 მ., აფიშების დასარიგებლად 1 მ. 50 კ., განცხადება გაზეთებში 45 მ. 05 კ., ლოტბარს, მგალობელთა გუნდის მოსამზადებელი ჰონორარი 40 მ, დეკორატორს 19 მ მარკები თხოვნაზე, საღამოს გასამართავად, ნებართვის აღებისათვის 2 მ. 60 კ., ფოსტის ხარჯი (ტელეგრამები, მიწერ-მოწერა) 8 მ. 50 კ., მოსამსახურეებს 17 მ. ყვავილები და გვირგვინები სცენისათვის 35 მ., დიდი სურათი—მგოსნისა 20 მ., ამ სურათისთვის ჩარჩო 4 მ., პროჟექტორის ქირა 5 მ., მგოსნის სურათები (დიდი ფორმატი) 50 ცალი 25 მ., ლენტები—მგოსნის სურათით 20 მ., ღია ბარათები 10 მ. 64 კ, საიუბილეო გამოცემანი 15 მ. 55 კ, ეტლით მიმოსვლა 15 მ., 25 კ., სხვა და სხვა წვრილმანი ხარჯი 14 მ. 70 კ., სულ 756 მ. 18 კ.

წმინდა შემოსავალი (1436 მ. 85 კ. —756 მ. 18 კ.) 680 მ. 67 კ. გაეგზავნა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას აკაკის ფონდის გასაძლიერებლად.

საიუბილეო საღამოს მომწყობი კომისია უღრმეს მადლობას უცხადებს ყველა დაწესებულებას და საზოგადოებას საიუბილეო საღამო-დღესასწაულში მონაწილეობის მიღებისთვის, გ. ზ. ა. ტაგიევს—ფულის შემოწირვისთვის, მხატვარს ნ. ნ. მუხინს—ცოცხალ სურათების დადგმისათვის, ბ-ნ მამიხონკოს—ელექტრონის განათებით თეატრის შესავლის მორთვისთვის, გაზეთების „ბაკინეცი“-ს და „ბაკინსკოე ეხოს“ რედაქციებს—განცხადებების უსასყიდლოდ დაბეჭდვისათვის, „კასპი“-ს და „ბაკინსკი ვესტნიკი“-ს რედაქციებს—განცხადებების დაკლებულ ფასებში დაბეჭდვისთვის, ასოთ-ამწყობს—აფიშების და პროგრამების უსასყიდლოდ აწყობისათვის და, საზოგადოდ, ყველა იმ, ვინც რაიმე დახმარებით ან დასწრებით ხელი შეუწყო საღამოს მწყობრად ჩატარებას.

საიუბილეო საღამოს მომწყობი კომისია.

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა [illegible] ხის ბენეფისი). ნიჭიერ არტისტის კონსტანტინე [illegible] აპრილს ძალიან მხიარულად ჩაიარა. მობენეფისემ აირჩია შექსპირის ცნობილი კომედია „ჭირვეული ცოლის მორჯულება“, ამ საღამოსთვის არტისტები ძალიან კარგად მომზადებულიყვნენ, როლები ყველამ იცოდა. ანსამბლი მშვენიერი იყო და კიდეც ამიტომ ხალხი კმაყოფილი დაიშალა. წარმოდგენა, თუმცა თითქმის ცხრა საათზე დაიწყო, მაგრამ, პატარა ანტრაქტების გამო, მაინც თერთმეტზე გათავდა. ამან ძალიან გაახარა ხალხი, რადგან ყველამ ტრამვაით მოასწრა შინ დაბრუნება. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ერთი-ორად მეტი ხალხი ივლის ქართულ თეატრში წარმოდგენები რომ ადრე თავდებოდეს.

მობენეფისე ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს. ხალხი კარგა ბლომად დაესწრო წარმოდგენას.

რუსეთი

ახალი „განმარტება“. ამ რამდენიმე ხნის წინად ვიტებსკის მაზრის სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩეველმა ნაფიცმა ვექილმა გურევიჩმა სენატში საჩივარი შეიტანა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ვიტებსკის მაზრის ამომრჩევლები ეროვნები მიხედვით სამად გაჰყო, ისე რომ თვითოეულ ჯგუფს თითო ამომრჩეველი უნდა აერჩიაო. გურევიჩის აზრით, უკანონობა იმაში გამოიხატება, რომ ებრაელებმა, რომელთაც რიცხვიც მთელ ამომრჩევლების ორ-მესამედ შეადგენდა, ერთი ამომრჩეველი აარჩიესო. სენატს ამის შესახებ განუმარტავს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება აქვს ამომრჩევლები ეროვნების მიხედვით დაჰყოს, რომ თვითეულ ერს შეძლება მისცეს ამომრჩეველი ჰყავდეს, რაც გინდა მცირე რიცხოვანი იყოს ესა თუ ის ერიო. გურევიჩი არ დაკმაყოფილებულა ამ განმარტებით და ხელმწიფესთან უჩივლია, მაგრამ აქაც უარი მიუღია.

ფელდფებლები სოფლის სკოლის მასწავლებლად. მთავრობას სასურველად უცვნია ის ფელდფებლები, რომელნიც ჯარში 15 წლიწადს მსახურობენ, დაინიშნენ სოფლის მასწავლებლად. ეხლა ფელდფებლები მოვალენი არიან პოდპრაპორშჩიკობაზე ჩააბარონ ეგზამენი. მთავრობის აზრით, ეს საეგზამენო პროგრამა საკმაო სოფლის მასწავლებლისთვის. რომ საბოლოოდ გაიგონ, საკმაოა თუ არა პოდპრაპორშჩიკების თეორიული ცოდნა სოფლის მასწავლებლებისთვის, მათ სოფლის სკოლებში [illegible] თვით გაჰგზავნიან.

პროფ. ზანჩევსკი და ვასკოვსკი. როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, ოდესის უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს პროფ. ზანჩევსკის და პრორექტორ პროფ. ვასკოვსკის სამოსამართლო პალატამ გადაუწყვიტა ადგილებიდან გადაყენება და ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა. ამ პროფესსორს სენატში გადაუტანიათ თავიანთი საქმე.

ლოპუხინის საქმე. გუშინ ვწერდით, რომ ლოპუხინის საქმე მაისის ბოლო რიცხვებისთვის გადასდეს. „რუსკ. ვედ.“ სიტყვით, ამისი მიზეზი ის ყოფილა, რომ ჯერ არ გამოუკითხავთ საიდუმლო პოლიციის იმ აგენტებისათვის, რომელნიც ლოპუხინს მთავრობის მინდობილებით თვალ-ყურს ადევნებდნენ. ეს აგენტები საზღვარ-გარედ მუშაობენ და უკვე ბრძანება მიუღიათ, ჩამოვიდნენ რუსეთში.

მომზადებულია თუ არა რუსეთი ომისთვის? გაზეთ „რუსკ. ინვალიდ“-ში ამ სათაურით გენერალ მილდერლინგის წერილია დაბეჭდილი. გენერალი სწერს: «გავრცელებულია ხმა, ვითომ რუსეთი საომრად არ იყოს მომზადებული. ამ აზრამდე უცხოელები კი არ მივიდნენ, არამედ ჩვენ, და იმდენად დავარწმუნეთ ამაში უცხოელები, რომ მათ ულტიმატუმიც კი წამოგვიყენეს, რაიც რუსეთის სახელისათვის შეურაცხმყოფელია. ნუ თუ მართლა იქამდის დავუძლურდით, იმდენად მოუმზადებელნი ვართ, იმდენად დავკარგეთ რწმენა ჩვენის წარსულის სიძლიერისა, რომ უცხოელების წინაშე თავი უნდა დავღუნოთ და მათი ყოველივე მოთხოვნა აგასრულოთ! არა, ტყუილია. ჩვენ თვითონ უნდა დავრწმუნდეთ და მერე სხვებიც დარწმუნდებიან, რომ რუსეთი არას დროს ისე არა ყოფილა მომზადებული, როგორც ეხლა, როდესაც წარსულ ომში კაი გამოცდილება მივიღეთ. თუ ყოველ პრაქტიკულ საქმეში გამოცდილი პირია საჭირო, ომის დროს ხომ დაუფასებელნი არიან ასეთი პირები. ევროპის არც ერთ სახელმწიფოს ჯარს იმდენი გამოცდილება არა აქვს, რამდენიც ჩვენ რუსეთ-იაპონიის ომმა მოგვცა. აი ამისთვის ყველაზე მომზადებულად რუსეთის და იაპონიის ჯარები უნდა ჩაითვალონ“.

300,000 მანეთის გაფლანგვა. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, მურგანის საუფლისწულო მამულის რევიზიას აღმოუჩენია, რომ ამ მამულის გამგეებს 300,000 მანეთი გაუფლანგავთ.

სიკვდილით დასჯა. სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: დვინსკში 1, ვილნოში 1, ხარკოვში 2, მოსკოვში 1, ოდესაში 2, ეკატერინოდარში 1 კაცს. სიკვდილით დასაჯეს: ეკატერინოსლავში 5, მოსკოვში 2, ტომსკში 1, კიევში 1, იურიევში 2, ორიოლში 1, ვარშავაში 2 კაცი.

ბი რად უწოდებენ მათ ალბანიის კედელს.[10]

ასე იყო ძველად. ალბანელნი და არა სხვანი უნდა ყოფილიყვნენ პირველი ამშენებელნი ამ კედლისა. მაგრამ დრონი იცვალნენ, ალბანელთ თავიანთი რეზიდენცია ჭოგადან პარტავში გადმოიტანეს, სპარსელთ დაიპყრეს თითქმის მთელი კავკასია და ზღვის კარის ბატონნიც ისინი გახდნენ და თვით ქალაქ ჭოგასაც შემდეგში ბაბ-ულ-აბვაბი დაერქვა.[11] სპარსელთ პირველადვე ალღო აიღეს ამ კედლისა, კარგად მიჰხვდნენ იმის დიდს მნიშვნელობას და მტკიცედ შეუდგნენ შეკეთება-განახლებას. იმის განმაახლებლად ითვლება სპარსთა ისტორიაში დიდად ცნობილი შაჰი ხოსრო დიდი, სასანიდების დინასტიიდან, უშარვანად წოდებული. ეს სახლი მას სიმართლიანობისთვის დარქმევია, იგი მეფობდა 531—579 წლამდის. აი, რას ამბობს ამის შესახებ არაბთა გეოგრაფი კუდამა: „შაჰმა ანუშირვანმა, ხაზართა მუდმივ დარბევით ილაჯგაწყვეტილმა, ბრძანება გასცა აღემართათ კარი აბულაბვაბში, რათა მის ნებადაურთველად არვის შესძლებოდა შესვლა და გამოსვლა, და აღმართეს კედელი ზღვასა და მთებს შორის 300 მკლავის სიმაღლე კლდისა და ტყვიისაგან შედუღებული. შემდეგ გასცა ბრძანება, ხომალდებით ეზიდნათ ქვა და კლდე ეყარნათ ზღვის პირად და ზედ კედელი აღემართნათ. კედლის აშენების შემდეგ გასავალში ჩამოჰკიდა რკინის კარი და მიუყენა 100 ცხენოსანი ყარაული. წინა კი კარის დასაცველად საჭიროდ იყო 5000 კაცი“.[12] ესევე კედელი გაგძელებული იქმნა შირგანისა და საინგილოსაკენ და ალაზნის სათავეში თავდებოდა.[13] აქაც იყო გადმოსავალი ჩრდილო კავკასიიდან, რასაკვირველია არა ისეთი კარგი და მოხერხებული, როგორც ზღვის კარისა ანუ დარუბანდისა. ეს გასავალი, რომელსაც ქართულად ალვანის კარს ეძახოდნენ, ხოლო არაბთა გეოგრაფნი ბ ბდურზუკს, თითქმის ისევე კარგად იყო გამაგრებული, როგორც პირველი, მაგრამ ისეთი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

კუდამის ცნობა ანუშირვანისაგან კედლის აშენებისა მართალი არ უნდა იყოს, რადგან მისი ნათქვამი არა მტკიცდება არა თუ სხვა მწერალთა და მოგზაურთა ცნობებით, არამედ თვით არაბთა გეოგრაფთა ცნობებიდანაც კი. საზოგადოდ არაბთა გეოგრაფებზედ უნდა შევნიშნოთ, რომ უმრავლესნი მათგანნი სწერდნენ ადგილებს, რომელნიც თითონ თავიანთ დღეში არ ენახათ, არამედ მხოლოდ ვაჭართაგან გაეგონათ, ამითი აიხსნება ქალაქებისა, მდინარეებისა და სხვათა სახელების დამახინჯება. მაგრამ არაბთა გეოგრაფნი გარდა კუდამისა ერთში ეთანხმებიან ერთმანეთს—ყველანი ანუშირვანსა სთვლიან კედლის მხოლოდ განმახლებლად და შემკეთებლად.

ამ რიგად, შეკეთებულს კედელს ადგილ-ადგილ საყარაულო კოშკები ჰქონდა ჩატანებული. ასეთი კოშკი ერთი ხომ უკვე მოვიხსენიეთ საინგილოში, მაწეხის მახლობლად. ყოველი სამი მილის სიშორეზედ ამართული იყო კოშკები და რკინის კარები იყო შებმული გასავალში. ამ კოშკების სიახლოვეს ანუშირვანმა დაასახლა მოსულიდან[14] და დიარბეჯინიდან გარდმოსახლებული სპარსელნი. ადგილობრივ მცხოვრებ კობნელთათვის ვერ ენდო კედლის დაცვა; მისის აზრით, სპარსეთიდგან გადმოსახლებულნი უფრო სანდონი იყვნენ და გულმოდგინედ დაიცავდნენ იმის ინტერესებს. გადმოსახლებულთა მოვალეობა იყო კოშკებისა და კედლის დაცვა მტერთაგან და აგრეთვე ნიშნის მიცემა მტრის მიახლოვების დროს. ნიშნის მისაცემად შემდეგსა ხმარობდნენ: მახლობელ რომელსამე მაღალს მთაზე ან კიდევ თვით კოშკზე, რასაკვირველია, თუ კოშკი თვალსაჩინო ადგილს იყო, ცეცხლს ანთებდნენ და ამით ატყობინებდნენ მახლობელთ მტრის მოახლოვებას. ერთ ასეთ ნიშნად ამორჩეული იყო ჭოგას მახლობლად დიდი მთის მწვერვალი, სადაც მუდამ წელს მრავალ შეშას აგროვებდნენ და თუ ვინიცობაა, მტერი საიდანმე მოახლოვდებოდა, ცეცხლს უკიდებდნენ და ამ რიგად მთელს ალბანიას ატყობინებდნენ მტრის მოახლოვებას. ნუხის მაზრაში ასეთის ნიშნებისთვის მიწურილები (курганы) იყო აღმართული.[15]

ბოლოს არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ხალხის გარდმოცემა ამ კედლის აშენებას აწერს თამარ დედოფალს და ალექსანდრე მაკედონელს,[16] უფრო კი პირველს. თამარ დედოფალი ისეთი საყვარელი ეროვნული სიამაყეა, რომ ხალხის ფანტაზია, არა თუ თვით საქართველოში, საქართველოს მოსაზღვრე მახლობელ ქვეყნებშიაც ყველაფერს იმას აწერს. ამის გამო გასაკვირველი არ არის, რომ ხალხის ფანტაზია კედლის აშენებასაც მას აწერს. ჩვენ კიდევ დავსძენთ, რომ კედლის პირველნი ამშენებელნი ალბანელნი უნდა იყვნენ, მით უმეტეს, რომ გარდა ალებ-მიცემობისა, რომლისთვისაც საჭირო იყო მყუდრო ცხოვრება, ალბანელთ, როგორც ქრისტიან ხალხს, ბევრი მტერი ჰყავდათ და ეს მტერნი ხომ შემდეგში ისე გაძლიერდნენ, რომ სრულიად წალეკეს ალბანელნი ასეთს მდგომარეობაში მყოფს ხალხს გულგაშენებით უნდა გაეწია ეს საამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და ალბანელნიც უკეთესს ვერაფერს მოიგონებდნენ მაშინდელს დროში, როგორც კედლის აღმართვას მძლავს მტრის წინააღმდეგ.

შემდეგში, როცა ლეკებმა ხელთ იგდეს საინგილო, ამ კედლის მნიშვნელობა ერთი-ორად უფრო გაორკეცდა. ლეკებისთვის მშვენიერი საფარი იყო ახლად დაპყრობილი სოფლების დასაცველად ქართველთაგან. ამიტომ ლეკები ისე უვლიდნენ ამ კედელს, როგორც თვალის ჩინს. სწორედ ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ საინგილოს ამ ადგილებში მშვენივრად შენახულია კედელი.

ედილი.

---

[1] რომაელ მწერლებს Pylai albaniai

[2] იხ. „Кабалинскій магалъ“, Эфендіева.

[3] იხ. „Примѣчанія Караулова къ переводу Арабскихъ географовъ“.

[4] „ქართ. ცხოვრება“, გვ. 147 და 108.

[5] იხ. Когонкотлаун, „Исторія Алванъ“.

[6] ამ ქალაქის ნანგრევები დღესაც გარგადა სჩანს, ნუხის მაზრის ეგრედ წოდებულ ყაბალის მაღალში.

[7] იხ. Походъ Россовъ,

[8] ასეთს ტერმინს ხმარობს ჯანაშვილი თავის წერილებში: „Нѣкоторыя историч свѣдѣнія о христіанствѣ въ закат пир.“, სადაც იგი ალბანიას სამად ჰყოფს—[illegible] ალბანიად, თვით ალბანიად და საქართველოს ალბანიად, რომელშიც შედიოდა დღევანდელი საინგილო და ნუხის მაზრა.

[9] ისტორიაში ცნობილია, რომ სომხებმა არაბთა დახმარებით სარწმუნოებრივ განხეთქილებისა გამო, მეჰკრიბეს ალბანელთა ყველა სამღვთო წერილის წიგნები და მდინარე ტერტერში გადაჰყარეს. იხ. „Исторія Албанъ“, Когокотладн.

[10] Галъ, „свѣдѣнія греческихъ и латинскихъ писателей о Кавказѣ“.

[11] ბაბ ულ-აბვაბ არაბული სიტყვაა და ნიშნავს ბჭეთა ბჭეს ანუ კართა კარს.

[12] „Извлеченіе изъ книги о хороджкѣ“, кудама, перев. Караулова.

[13] იხ. Массуди, არაბთა გეოგრაფი.

[14] იხ. Гамидъ ула Казвини, არაბთა გეოგრაფი. სახელი მოსული დღესაც შენახულია საინგილოში და ერთს სოფელსა ჰქვიან ენისელში. შესაძლებელია იმ დროიდან დარჩა ეს სახელი.

[15] იხ. „Кабалинскій магалъ“, Эфендіева

[16] „Путешествіе по Дагестану“, Гама.

◆ **ახალი კანონ-პროექტი.** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს შეუმუშავებია ახალი კანონ-პროექტი, რომლითაც ქალები და 17 წლისაზე ნაკლები მამაკაცები არ მიიღებიან ზოგიერთ ქარხნებში. ამავე კანონ-პროექტით განსაზღვრულია სამუშაო დღე. კანონ-პროექტს მალე სახელმწიფო სათათბიროს წარუდგენენ დასამტკიცებლად.

◆ **ილიოდორეს გამარჯვება.** როგორც ვიცით, ცნობილი მღვდელ-მონოზანი ილიოდორე ცარიცინიდან მინსკში გადაიყვანეს. მისი საქმენი საგმირონი ყველამ იცის. „კიევსკ. მისლ." სიტყვით, ილიოდორე პეტერბურგში ჩასულა და იქ მოუხერხებია, რომ იგი ისევ ძველ ადგილზე დაებრუნებიათ. ასე რომ ცარიცინის ადმინისტრაცია, რომელიც ილიოდორეს უჩიოდა, პირში ჩალა გამოვლებული დარჩა.

◆ **გენერალი რეინბოტი.** მოსკოვის ყოფილი გრადონაჩალნიკი გენერალი რეინბოტი გაზეთის კორესპონდენტებს თურმე ეუბნება: „ჯერ ოფიციალურად ჩემთვის არავითარი ბრალდება არ წამოუყენებიათ. რაც მე ვიცი, ყველაფერი გაზეთებიდან ამოვიკითხე. მოსკოვის რევიზია ჩემის თხოვნით დაინიშნა. მე თვითონ დავუხასიათე სენატორ გარინს ყველა ჩემი ხელქვეითი. ეხლა ჯერი ჩემზეა ძომ[illegible]გარი, უცდი, რომ პასუხი გავცე ჩემ წინააღმდეგ ბრალდებებსო".

◆ **ბერების ცხოვრებიდან.** ნიჟნი-ნოვგოროდის ეპისკოპოსმა ნაზარიმ ამ დღეებში სინოდში შუამდგომლობა აღძრა, კორჟენის მამაკაცთა მონასტერი დედათა მონასტრად გადააკეთეთო. ეპისკოპოსს ამის მატივად შემდეგი მოჰყავს: „ამ ბოლო დროს ამ მონასტრის ქონებრივი მხარე დაუჯერებლად დაეცა, რის მიზეზად თვითონ ბერების ცუდი ყოფა-ქცევა უნდა ჩაითვალოს: ლოთობა, მონასტრის ქონების მითვისება, ქურდობა, ჩხუბი, თავპირის მტვრევა ჩვეულებრივი მოვლენაა ამ მონასტრებში. მონასტერში სულ 16 ბერია. ამათგან 7 ბერს სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედება ჰბრალდებათ და უკვე გამოძიებაა. ყველა ამ ბერს რამდენჯერმე სხვა და სხვა სასჯელი ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ მათზე არაფერმა არ იმოქმედაო.

◆ **სიკვდილით დასჯა.** „რეჩის" სიტყვით, სულ ერთი თვეა თურმე, რაც ვიტებსკის სამხედრო სასამართლოს სესხია მუშაობს და უკვე 28 კაცისთვის გადაუწყვეტია სიკვდილით დასჯა (სამართალში მიცემული ყოფილა 48 კაცი). აქედან სამი ქალია. სიკვდილს სულ უბრალო რამისთვის უწყვეტავენ. მაგალითად ერთ გლეხს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ცარიელი სახლისთვის ცეცხლი წაუკიდებინებია. სამხედრო სასამართლოს ასეთ მუშაობას სამართალში მიცემულებზე ისეთი გავლენა უქონია, რომ დღე არ გავა თურმე, რომ ორმა-სამმა არ მოიკლას თავი.

მოწერილი ამბები

ხარკოვი. მე მქონდა საუბარი ერთ აქაურ დეკანოზთან (პეტრე პოლტავცევთან), რომელიც ძლიერ დაახლოვებული ყოფილა ეპ. კირიონთან ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ადგილობრივ კურიაჟის მონასტერში გამოჰგზავნიდნენ კირიონს. კირიონ ეპისკოპოზი გაუცვნია მას ალექსანდრე ციციშვილის მეოხებით. მან, სხვათა შორის, გადმომცა, რომ მიზეზი კირიონ ეპისკოპოსის გადასახლებისა იყო ხარკოვის ადგილობრივი მთავარ-ეპისკოპოსი არსენიო. როგორც მკითხველებსაც ეხსომება, როდესაც პურიშკევიჩმა კავკასიის შეკითხვის დროს, სხვათა შორის, დასჭმო ქართველი სამღვდელოება და ეპისკოპოზები, იგი ამტკიცებდა, რომ ექსარხოსი ნიკონი მოჰკლა სამღვდელოებამ, ნიადაგი მოუმზადა ეპ. კირიონმაც და სხვ. პურიშკევიჩის სიტყვები სინოდმა და მთელმა რუსის ეპისკოპოსებმა ნამდვილ ფაქტად მიიღეს. ხარხოვის მთავარ-ეპისკოპოს არსენიმ კი მაშინვე ოფიციალური მოხსენება გაუგზავნა სინოდს, რომ ჩემ ეპარქიაში კირიონის ყოფნა პოლიტიკის მოსაზრებით ძლიერ საშიშად მიმაჩნია, მით უმეტეს, რომ მასთან ხშირი მსვლელობა აქვს აქაურ ქართველ სტუდენტობასთ. სინოდი ძლიერ უჯერებს არსენის. ამ უკანასკნელმა ისიც დაუმატა, რომ კირიონ ეპისკოპოსი უსათუოდ უნდა გაიგზავნოს ინოკენტი ეპისკოპოსის ეპარქიაშიო. ინოკენტი თავის სისასტიკით, სამღვდელოების აზრით, წინ უსწრებს არსენისაც. მართლაც, ამ ჟამად კირიონი იმყოფება ინოკენტი ეპისკოპოსის ეპარქიაში ერთ მონასტერში, რკინის გზის დაცილებით, რომელსაც, როგორც ამბობენ, სოფელიც კი არ ეახლოვება.

დეკანოზმა სთქვა კიდევ, მე ვთხოვე ეპ. კირიონს, ნება მოეცა, რომ მისვლა-მოსვლა გვქონოდა ერთმანეთთან; ამაზედ მიპასუხა: სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს მე თითქმის პოლიციის მხედველობის ქვეშ ვიმყოფები; ყოველ ჩემს ნაბიჯში უნდათ რაღაც იპოვნონ, და ვერ გამიგია, რას ეძებენ, რა უნდათ ჩემგანაო.

არსენს არქიეპისკოპოსი, სხვათა შორის, იყო პირველი პიონერი სამღვდელოების უნივერსიტეტში მიღებისა. უნდა აღვნიშნო შემდეგი ამბავიც. შარშან ვინახულე კირიონ ეპისკოპოსი კურიაჟის მონასტერში. მან მითხრა, უკანასკნელ ეპარქიას ჩემის ნებით დავანებე თავი, მთავრობას არ დავუთხოვივარო. მე დამნიშნეს ერთ უკიდურეს მემარჯვენე ეპისკოპოსთან ქორ-ეპისკოპოსად. ის, რომელიც მეკამათებოდა სინოდში საქართველოს ეკლესიის საკითხების შესახებ და ყოველ სიტყვასა და აზრში მტყუნდებოდა, გარდაიქცა ჩემს უფროსად და მე იმის თანაშემწედ; დამოკიდებულება ჩემი იმასთან ისეთი იყო, როგორიც სემინარიაში მოსწავლის სასტიკ ინსპექტორთან, რაც ვეღარ ავიტანე და სამსახურიდან გამოველ.

კირიონმა, სხვათა შორის, აღნიშნა კიდევ მწუხარება ორლოვის ეპარქიისა. სინოდმა ორლოვის ეპარქიიდან გადამიყვანა ქორ-ეპისკოპოზად. ორლოვის ეპარქიას სინოდში დეპუტაცია გაეგზავნა და ეთხოვა, კირიონი დაგვიბრუნეთო. სინოდს ოფიციალურად უცნობებია დეპუტატებისთვის, რომ კირიონს არა სურს ორლოვის ეპარქია, იგი საქართველოში მიიწევსო. კირიონს შემდეგ დეპუტაციის ერთი წევრისაგან მიუდია ბარათი საყვედურისა, რისთვის არ ინებე ჩვენში მღვდელ-მთავრობაო. კირიონი გაოცებულიყო, მე არაფერი არ გამიგიაო. **მუხურელ-ჩხარელი.**

—

ბათუმი. ბათუმიდან ჩვენი ქვეყნის დიდძალი საქონელი გადის საზღვარგარეთ. აქ შემოდიან შემდეგ ქვეყნების გემები: საფრანგეთის ორი საზოგადოების (პაკე და მესაჟირიე მარიტიმ), ავსტრიის ლლოიდი, ბელგიის საზოგადოებისა, ინგლისისა, იტალიისა, ოსმალეთის-ბერძნებისა და მშვენივრად მოწყობილი გერმანიის გემები ამათ გააქვთ ჩვენ ქვეყნიდან: მაარგანეცი, სიმინდი, მატყლი, ნიგვზის და ბზის ხეები, ძირტკბილა, აბრეშუმის პარკი, ცხვრის ტყავი და სხვა და სხვა. სწორედ ეს საქონელი მოდის ბათუმში ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხიდან აქაურ კომისიონერების და სააგენტოების სახელობაზე. ამათ პირობები აქვთ დადებული ევროპის სხვა და სხვა დაწესებულებასთან და ფირმასთან და უგზავნიან, თავიანთვის კარგ მოგებით, ჩვენი ქვეყნის ნაწარმოებს. ეს კომისიონერები და სააგენტოები დიდ-ძალ ფულს იძენენ, ასე რომ ბევრმა მათგანმა ბათუმში ორსამ სართულიანი სახლიც წამოსჭიმა ამ რამდენიმე წლის წინად აქ დაარსებულ „გეორგიას" ამხანაგობას უნდოდა სწორედ საქმე ჩაეგდო ხელში და ჩვენი ლუკმა ჩვენ ჯამშივე ჩაეგდო, მაგრამ, სამწუხაროდ, მოვტყუვდით, როგორც მოგეხსენებათ, ვერ იხეირა. **ტრ. ინასარიძე.**

—

დ. ხონი. ხონის სასწავლებელმა იდღესასწაულა გოგოლის იუბილეი. ყველგან წაკითხულ იქნა მისი ბიოგრაფია, ლექსები და მოთხრობები. მასწავლებლებმა კაკაბაძემ, იანოვსკიმ და ბობროვმა დაახასიათეს გოგოლი როგორც მწერალი. აღნიშნეს გოგოლის ნაწარმოებთა მნიშვნელობა. იუბილეის დასასრულ მოწაფეებს უფასოდ დაურიგეს გოგოლის სურათები და იმის ნაწარმოებთა კრებულები. საიუბილეო დღესასწაულზე, სხვათა შორის, ლექსები წაიკითხეს მოწაფეებმა ვ. ძიძიგურმა, ი. გოგიამ და ა. გაბუნიამ.

ამ ჟამად ჩვენი სამკითხველო ცუდ მდგომარეობაშია: უსახსრობისა გამო დღეს თუ ხვალ აუცილებლად დაიკეტება. კიდევ კარგი, რომ გამგეებში ერთი-ორი ცოტა მხნე აღმოჩნდა და სამკითხველოს დღემდე გაუგრძელა დღეები. თითონ ხალხიც, სამწუხაროდ, ძლიერ გულცივად ეკიდება სამკითხველოს საქმეებს. 4 იანვარს სამკითხველოს წევრთა საზოგადო კრებაზე ნათლად გამოირკვა ყველაფერი. გამგეების უმოქმედობა ყველასათვის აშკარა გახდა. კრებაზე გამგემ ანგარიში წარუდგინა, მაგრამ წევრებმა ამ ანგარიშის მიღებაზე უარი სთქვეს. სწორედ საკვირველი ხალხია ხონელები. ანგარიშს ყველგან გაურბიან. გამგეებს ყურში ჩასძახიან, ანგარიში წარმოადგინეო, მაგრამ ანგარიში არსად არის. როგორც იყო, ხონს ეღირსა ისეთი კაცი, რომელსაც ანგარიშის წარდგენა საჭიროდ უცვნია, მაგრამ რად გინდათ, წევრებმა მეტად მიიჩნიეს ანგარიშის განხილვა. ეს ამტკიცებს იმას, რომ მათ არა სურთ გაიცნონ სამკითხველოს გაჭირვებული მდგომარეობა, არ უნდათ სამკითხველოს რამე შალამო დასდონ. გრ. ბურჭულაძემ სხვა და სხვა დაწესებულებებში შეჰკრიბა 170 მანეთამდე სამკითხველოს შენობის ასაგებად. შენობა უნდა აშენდეს ადგილობრივ ბაღში. ადგილი საზოგადოებამ უფასოდ დაუთმო. სასურველია, რაც შეიძლება მალე აშენდეს სამკითხველოს შენობა, რათა ჩაეყაროს მტკიცე საძირკველი.

22 მარტს მოხდა კრება ხონის საურთიერთო ბანკისა. კრებას უნდა განეხილა და დაემტკიცებინა წარსულ და მიმდინარე წლების ხარჯთ-აღრიცხვა, უნდა აერჩია გამგეობა. კრების დაწყებისას აირჩიეს თავმჯდომარე და მდივანი. სარევიზიო კომისიის წევრებმა მოახსენეს კრებას, რომ ანგარიში წესიერად არის შედგენილიო. ხალხმაც დაამტკიცა იგი და ბანკის მოხელეებად დასტოვა ისევ ძველები. ამ ბანკმა წრეულ მოგების 10 პროცენტი, ე. ი. 245 მ. გადასდო ხონის ვაჟთა პროგიმნაზიის სასარგებლოდ. საზოგადოდ, ამ ბანკის საქმეები სასურველად ვერ მიდის. შარშან ბანკში 271 წევრი იყო, ეხლა 250 წევრი ღაა. წინა წლებში მოგებაც მეტი იყო, ვიდრე ეხლა. რა მოგებაა 2453 მან. 86 კაპ. ამ ფულს არამც თუ ბანკი, უბრალო სავაჭრო დუქანიც მოიგებდა!

ხონის სასოფლო სემინარიის მესამე კლასის მოწაფენი 30 მარტს მიდიან საექსკურსიოდ ჩაქოსაკენ. გზად გაივლიან აგრეთვე ტფილისშიაც. **გ. ქართველი.**

ოსმალეთი

გაზ. „სერვესტი"-ს რედაქტორის მოკვლის გამო.

აღელვებულ საზოგადოების დასამშვიდებლად ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტმა ცირკულიარი გაუგზავნა სტამბოლის ყველა გაზეთის რედაქციებს. ცირკულიარში კომიტეტი გადაჭრით აცხადებს, რომ არც თითონ კომიტეტს არც მის რომელიმე წევრს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ გაზ. „სერვესტი"-ს რედაქტორის ჰასან-ფეხმის მოკვლაშიო.

ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტმა ცილის წამებისათვის სასამართლოში უჩივლა გაზ. „ყდამ"-ის რედაქტორს, რომელმაც ღია წერილი დაბეჭდა იუსტიციის მინისტრის სახელობაზე და ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტს ბრალი დასდვა: „სერვესტი"-ს რედაქტორიც მაგან მოჰკლა და ამას გარდა ჩემი და კიდევ სხვა ჟურნალისტების მოკვლა სწადიანო.

სომხის რევოლიუციონურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა საზოგადოებას. მოწოდებაში სომხის კომიტეტი გაბედულად ჰგმობს ჰასან-ფეხმის მკვლელობას, რამაც შეიძლება შინაგანი არეულობა გამოიწვიოს. (რ. ს.)

მოლაპარაკება ახალგაზრდა ოსმალთა და ახრარიების შორის.

„რუს. სლოვო"-ს კორესპონდენტი იუწყება სტამბოლიდან: „ახალგაზრდა ოსმალთა ცენტრალურ კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა ინახულა ახრარიების (თავისუფალ მოაზრეთა ანუ ლიბერალების) მეთაური პრანც საბაჰ ედინი იმ აზრით, რომ კომიტეტის სახელით შეთანხმებოდა მის პარტიას. ახალგაზრდა ოსმალებმა წინათაც არა ერთხელ მოინდომეს საბაჰ-ედინთან შეთანხმება, მაგრამ ვერას გახდნენ".

უცხოელების ინტრიგები.

ინგლისელი პოლიტიკოსები ადრევე ელოდებოდნენ, რომ სტამბოლში უთუოდ დაიწყება გამწვავებული ბრძოლა ძველსა და ახალ რეჟიმს შორის, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს საელჩო ხელს უწყობს ოსმალეთის შინაგან არეულობას და ახალგაზრდა ოსმალთა დაცემას.

ოსმალეთ-ავსტრიის შეთანხმება.

ოსმალეთი და ავსტრია ჯერ კიდევ იანვარში მორიგდნენ ბოსნია-ჰერცოგოვინას შესახებ: ოსმალეთი დასთანხმდა ამ პროვინციების ანექსიას, ხოლო სამაგიეროდ $2\frac{1}{2}$ მილიონი გირვანქა (25 მილიონი მანეთი) გამოართვა ავსტრიას. მაგრამ ხილმი-ფაშას სამინისტრო დიდ ხანს ვერა ჰბედავდა ამ შეთანხმების წარდგენას პარლამენტში, დეპუტატების პროტესტისა ეშინოდა. თვით გერმანული გაზეთებიც კი არა ჰმალავდნენ, რომ დეპუტატთა პალატის კომისია მტრულად უცქეროდა ამ შეთანხმების ოქმსა და მთავრობამ იმიტომ დააყოვნა მისი წარდგენა პალატაში, რომ ჯერ საჭიროდ ჩასთვალა ნიადაგის მომზადება მისთვის. მთავრობამ როგორც იყო მარტში წარუდგინა ეს ოქმი პალატას და 23 მარტს საიდუმლო სხდომა დანიშნა მის გასარჩევად. საიდუმლო სხდომის დანიშვნა 55 დეპუტატმა მოითხოვა, მთავრობაც მაშინვე მიემხრო ამ წინადადებას. ავსტრიული გაზეთები სწერენ, რომ ეს მეტად საყურადღებო სხდომა იყოო. პალატის კულუარები სავსე იყო დიპლომატებით და ჟურნალისტებით. ყოველ დეპუტატს, რომელიც კი სხდომის დარბაზიდან გამოვიდოდა, ხალხი შემოეხვეოდა და დიდის ცნობის მოყვარეობით ჰკითხავდა ხოლმე, როგორ მიდის საქმეო. მალე გაიგეს, რომ ავსტრიასთან შეთანხმების შესახებ ლაპარაკი 60 ორატორმა მოინდომა და მათგან 40 წინააღმდეგია შეთანხმებისა; კამათი მეტად გამწვავებული იყო. მუსულმანთა სასულიერო წოდების დეპუტატები ამტკიცებდნენ, რომ ბოსნია ჰერცოგოვინას დათმობა ეწინააღმდეგება ისლამსა და შარიატსაო. ბევრი ორატორი ცრემლ-მორეული ლაპარაკობდა ტერიტორიის დაკარგვაზე. დიდმა ვეზირმა ხილმი-ფაშამ და გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოუცხადეს პალატას: ორში ერთი უნდა აგვირჩიოთ, ან უნდა ეს შეთანხმება დაამტკიცოთ, ან ავსტრიას ვუომოთო. ბოლოს ხილმი-ფაშა იძულებული იყო განეცხადებინა, რომ თუ პალატა დღესვე არ დაამტკიცებს ამ შეთანხმებას, ჩემი სამინისტრო სამსახურიდან გადადგებაო. ამ განცხადებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა პალატაზე, რომელმაც 136 ხმის უმეტესობით 46 წინააღმდეგ დაამტკიცა ავსტრიასთან შეთანხმება, ხოლო 18 დეპუტატმა განზრახ მონაწილეობა არ მიიღო კენჭის ყრაში.

შეთანხმების წინააღმდეგნი იყვნენ უმთავრესად სამღვდელონი, რომლებმაც სხვათა შორის ეს საქმეც გამოიყენეს ახალგაზრდა ოსმალთა წინააღმდეგ: „ბოსნია-ჰერცოგოვინა გაყიდესო, როდესაც შარიატის ძალით აკრძალულია მუსულმანთა სამფლობელოს გაყიდვაო". ახალგაზრდა ოსმალები სექტემბერს აქეთ (მაშინ შეიერთა ავსტრიამ ბოსნია-ჰერცოგოვინა) გაიძახიან, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინა ჩვენ კი არა, სულთან აბდულ-ჰამიდმა და ძველმა რეჟიმმა დაკარგვინა ოსმალეთსაო, მაგრამ ვერა შეასმინეს რა ერჩ რეაქციონერებს.

საუბარი არაბ დეპუტატთან

„ნემა გაზეტა"-ს კორესპონდენტს სტამბოლში საინტერესო საუბარი ჰქონია ერთ არაბთან, ოსმალეთის პარლამენტის დეპუტატთან. დეპუტატს უთქვამს:

ჩვენ, არაბები, 13 და იქნება 14 მილიონიც ვართ ოსმალეთში—მთავრობას ჯერ სწორედ არ დაუთვლია ხალხი—და პარლამენტში 22 ადგილი კი არა, ერთი-სამად და ერთი ოთხად მეტი ადგილი უნდა გვეკუთვნოდეს. ამას გარდა აქამდე მხოლოდ ბიხარაში არის დანიშნული არაბი გუბერნატორი და ეს-არის ამ დღეებში დანიშნეს არაბი ვაკუფების (საეკლესიო მამულების) მინისტრად. ეს ძლიერ ცოტაა იმპერიის მცხოვრებთა მესამედ ნაწილისათვის ამასთანავე ეს საზარალოცაა თითონ სახელმწიფოსთვისაც. აი, მაგალითი ბერძნის მართლმადიდებელმა მღვდლებმა რამდენიმე არაბი მოჰკლეს; მოკლული არაბებიც მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ; ეს მკვლელობა მოხდა იმის გამო, რომ არაბებმა მოითხოვეს ჩვენც ბერძნებთან თანასწორი უფლება გვქონდეს საეკლესიო საქმეებშიო. მერე მოვიდა კომისია სტამბოლიდან, ძალა დაატანა სამღვდელოებას და შეთანხმება მოახდინა. მაგრამ იერუსალიმში რომ გუბერნატორად არაბი ყოფილიყო, გინდა მუსულმანი არაბი, ეს საზარელი მკვლელობა აღარ მოხდებოდა.

არაბ დეპუტატის აზრით, ეროვნული საკითხი და უპატრონობა ძლიერ უშლის საქმეს ახალგაზრდა ოსმალებს. მთელს იმპერიაში ქრისტიანები და მუსულმანები, თვით ფეხმძე[illegible] ადვილნი ერთმანეთს უღარაჯებენ, მაკედონიაში ბოლგარები, სერბები და ბერძნები მხოლოდ ნიშანს ელიან, რომ ერთმანეთს ყელი გამოღადრონ. მაგრამ დრო, პატრიოტულ ინტელიგენციას პროპაგანდა და პარლამენტისა და მთავრობის გონიერი ქცევა თავისას გაიტანენ და მკვიდროდ შეართებენ აბდულ-ჰამიდის მიერ დაქუცმაცებულ იმპერიას.

დასასრულ კორესპონდენტი დასძენს: პარლამენტის შეკრების უმალ ხმა გავრცელდა, რომ პარლამენტში დაარსდება არაბთა ეროვნული პარტია, რომელიც უმთავრესად იმას მოითხოვს, რომ ადმინისტრაციის უმაღლეს თუ დაბალ თანამდებობებზე ჰნიშნავდნენ ყველა ერის წარმომადგენელს იმ ერის რიცხვის დაგვარად. მაგრამ ეს ხმა ტყუილი გამოდგა; არაბებმა დიდი თავდაჭერილობა გამოიჩინეს და ახალგაზრდა ოსმალებს საქმე არ გაუჭირვეს ამ მოთხოვნით, რომლის კანონიერებას იმ თავითვე პრინციპიალურად სთანხმდება ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტიც. არაბები პარლამენტში ყველაფერში მხარს უჭერენ ახალგაზრდა ოსმალებს. და რაღა თქმა უნდა, რომ ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტი დიდ შეცდომას ჩაიდენს, თუ არ დააკმაყოფილებს არაბთა კანონიერ მოთხოვნებს, მით უმეტეს რომ არაბთა თანაგრძნობის მოპოვებას დიდი ხანია ბეჯითად სცდილობს ახრარიების (ლიბერალების) კავშირი, რომელმაც თავის თავზე იდვა ყველა არა-ოსმალთა ეროვნების მოსარჩლეობა. ეს კავშირი ოპოზიციას უწევს მთავრობასა და ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტს და თავის საქმეს ჯერ-ჯერობით ისე უხერხულად ასრულებს, ისე ბეჯითად უტეხს სახელს თავისავე პარტიას, რომ ჩემმა მოსაუბრე არაბმა მოურიდებლად **„პოლიტიკურ ყაჩაღების"** სახელი უწოდა მის წევრებს, მაგრამ „პოლიტიკურ ყაჩაღებსაც" ადვილად შეუძლიათ ხელი შეუშალონ ახალგაზრდა ოსმალებს, რომლებიც ახალ სახელმწიფო შენობის საძირკველი ჩაუყარეს ჯერ კიდევ ჩაუქრობელ პოლიტიკურ და ეროვნულ ვნებათა ნაკვერჩხლებზე.

მაკედონიის საქმე.

პარიზში ცნობა მიიღეს, რომ როგორც სულთანს, ისე ოსმალეთ პოლიტიკოსთა წრეებს ეხლა ავსტრიასთანა და გერმანიასთან მეგობრობა უფრო უჯდება ჰკუაში, ვიდრე ინგლისთანა და საფრანგეთთანაო. ამ მიმართულებას თანაუგრძნობს დიდი ვეზირი ხილმი-ფაშაც. ამბობენ, რომ გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი თეფიკ-ფაშა გამოვა დიპლომატიურ ასპარეზზე. პირველად იგი ელჩად გაიგზავნება ლონდონში. ახალგაზრდა ოსმალებიც თანაუგრძნობენ ამ მიმართულებას. დიპლომატებს ეშინიათ ვაი თუ ოსმალეთმა ამის გამო რეფორმები მალე აღარ მოახდინოს მაკედონიაშიო, ამიტომ ინგლისი რუსეთთან ერთად [illegible] რეფორმებს მაკედონიისთვის. ამბობენ, ინგლისმა უკვე მოლაპარაკება გამართა ამ საქმის თაობაზე რუსეთთანაო.

მაკედონიის კომიტეტის მოწოდება

მაკედონიულ ბოლგართა კომიტეტმა გამოსცა მოწოდება, რომელშიაც აცხადებს, რომ ახალგაზრდა და ოსმალთა მთავრობამ არაფრით არ გააუმჯობესა მაკედონიის მდგომარეობა, ამიტომ მაკედონიელებმა ამ ახალ მთავრობის წინააღმდეგაც იარაღით უნდა იბრძოლონ ისე, როგორც ძველს მთავრობას იბრძოდნენო.

სამკურნალო
გარედან მოსიარულეთათვის
ექიმი ა. ი. გრიგორიანისა.
რიყის ქ., ს. N 78, (სათავე მღვდ. პირდაპირ.)

ს. მ. ახპისოვი—ყელისა, ცხვირისა და ყურისა 2—3 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიული ავადმყოფობანი 12—1 ს.
ს. ზ მირზოევისა—თვალის ავადმყოფობანი 12—1 ს.
ი. ა. ფრიდონოვი—შინაგანი და ბავშვის ავადმყოფ. 1—2 ს.
ს. ა. თარხანოვი—ბებიაობა, ქალისა და ბავშვის ავად. 9 ნახ.-დან 10 ნახ.-ს.-მდე.
ა. ი. შახ-აზიზოვი—საშარდე, ვენერ. (სიფილ.) და კანისა 2—3 ს.
ნ. ბ. ნარიმანოვი—შინ. და ქალ. 11—12 ს., 5—6 ს.
ე. მ. ზვიაგინა კბილ. 9—11 ს.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.
სამკურ. გამგე დ-რი **ა. ი. გრიგორიანი.** (100—ხალ.—28)

პირველი კერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდ
ყ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ საბებიო და ქალებისა.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**
(წ.—1—59)

6Э მანეთიანი 30 მანეთად

ქ. ქუთაისში
ა. რ. თაბაგრის მაღაზიაში
თეატრის გვერდით

მუდამ იყიდება საუკეთესო საკერავი მაშინები, ველოსიპედები, ჩულქის საქსოვი მანქანები, გრამოფონები და ყოველივე მათი მოწყობილება. ვღებულობთ გამოსვლისათანავე ახალ-ახალ ფირფიტებს და სხვ. საქონელს ვღებულობთ საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებიდან სათითაოდ შემოწმებულს, რისთვისაც ვიძლევით გარანტიას.

ფასები შესამჩნევად დაკლებულია
ხელის მაშინა სხვის 60 მანეთიან მაშინებთან შედარებით ჩვენთან 30 მანეთი ღირს.
ჩვენ მაღაზიას აგენტები ჰყავს ყველა ქალაქსა და დაბაში. წერილობით მიწერ-მოწერის პასუხს სწრაფად ვიძლევით.

შეიძლება საქონლის დაბარებაც ზედ-დადებულ ფასით. თუ გაგზავნილი საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ.

◀ 60 მანეთიანი 30 მანეთად ▶

(100—6—29)

სტამბა [illegible]

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.